ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი   შაბათი 24 ივლისი 2004 №169 (2190)   ფასი 50 თეთრი


# იტალია ასია, საქართველო 76

## ნაკრები სწავლობს, როგორ იყოს ნაკრები

სან ჯორჯოს ტურნირზე რუსების ძლევით შეგულიანებული ქართველები გუშინ იტალიელებმა დააშოშმინეს. მასპინძლებმა ყველაფერში აჯობეს ხორვატი დრაჟენ ბრაიკოვიჩის გაწვრთნილ ქართველებს და საბოლოოდ დიდი ანგარიშით, 100:76 დაამარცხეს. მომავალი ოლიმპიადის მონაწილე გუნდთან 24-ქულიანი მარცხის ნაღდად არ უნდა შეგვრცხვეს, მით უმეტეს, რომ ჩვენმა ნაკრებმა ბოლოს 2001 წელს აზერბაიჯანთან ითამაშა. დასაფიქრებელი სხვა რამაა — საქართველოს ნაკრები ჯერ მხოლოდ საუკეთესო ქართველი მოთამაშეების კრებულია (სტეფანია-ნაცვლიშვილ-ცქიტიშვილის გამოკლებით და შემონდ უილიამსის დამატებით) და გამართული, გუნდური კალათბურთის თამაში ვერ გამოსდის, აკლია პასი და მოძრაობა. შემონდ უილიამსი ერთი-ერთზე ბარე ორ და მეტ ევროპელ გამთამაშებელს ჩამოიტოვებს, მაგრამ აჯობებს, თუ სხვებსაც აათამაშებს. დღეს ჩვენებს გუნდური თამაშის გაშალაშინების ბოლო შესაძლებლობა აქვთ, ოთხთა ტურნირის ბოლო მატჩში შვედებს ხვდებიან.






## Seine Unterschrift Kostet 10 Millionen

დღეს იურგენ კლინსმანი გერმანიაში ორწლიანი კონტრაქტის გასაფორმებლად ჩავა და ამ საქმეს ანუ ბუნდესნაკრებს თავი დაედგმება. კლინსმანის ხელმოწერა, ესე იგი, ორწლიანი გასამრჯელო, „ბილდის“ მტკიცებით, ძალიან ძვირი — 10 მილიონი ევრო ღირს, თუმც ეს 10 მილიონი მხოლოდ კლინსის ჯიბეს არ გაამდიდრებს. მთავარი მწვრთნელის წილი 5 მილიონი იქნება, მენეჯერ ოლივერ ბირჰოფისა 3, ხოლო ასისტენტ ჰოლგერ ოსიეკისა 2 მილიონი.

# რეჰაგელმა სასწაული სიტყვით დაიწყო

## სტელიოს იანაკოპულოსი: ბერძნებმა ჯერ ჩვენი მენტალიტეტი შეცვალა

ოტო რეჰაგელი ჩვენი, ბერძნების მენტალიტეტს ერთი წელი სწავლობდა...

რეჰაგელის ერთი სიტყვა ჩვენთვის კანონია...

ასე იწყებს „სარბიელთან“ საუბარს ევროპის ჩემპიონი, საბერძნეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი სტელიოს იანაკოპულოსი, ვინც პირველია ევროპის ჩემპიონთაგან, ქართულ მედიას ექსკლუზიური ინტერვიუ რომ მისცა და ქართველებს საბერძნეთში დასვენება შესთავაზა...

კობა ინასარიძის ინტერვიუ სტელიოს იანაკოპულოსთან იხილეთ მესამე გვერდზე



# თბილისი: ამერი შამქირამდე ამერი: თბილისი ბლშანამდე

## ევრო – აზერბაიჯანული რეპეტიცია



გიორგი ჭელიძის (№9) პირველი გოლი ლადო ნადირაშვილის კარში

**29 ივლისს** უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „თბილისი" აზერბაიჯანულ „შამქირს" ესტუმრება. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, თბილისელებს კი სათამაშო პრაქტიკა სჭირდებათ და გუშინ „ისანზე" ამხანაგურად გაეჯიბრნენ პირველლიგელ „ამერს", რომელსაც სეზონი სამი კვირის მერე ეწყება და მისთვის ჩეხეთში შეკრებაზე გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩატარებულ ამხანაგურ მატჩს „თბილისისგან" მნიშვნელოვნად განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა. შეხვედრა „თბილისის" უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დასრულდა — 3:1.

გუნდებმა ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს, თუმც „ამერს" წამყვანი მოთამაშე აკლდა — მეგოლე სულიკო დავითაშვილს თამაშის წინა დღეს სიცხემ აუწია.

„თბილისი" პირველლიგელ მეტოქეს მკვეთრად აღემატებოდა და ემჩნეოდა, რომ თამაშის მომატების პოტენცია აქვს. თბილისელებმა მათთვის ჩვეულ სტილში ითამაშეს, კვლავაც ერთი გამოკვეთილი ფორვარდით — პირველ ტაიმში ეს ფუნქცია კოკა მიკუჩაძეს დაეკისრა. აქტიურად ითამაშეს „თბილისის" ნახევარმცველებმა, რომელთაგან ყველაზე უფრო გოგიტა გოგუა გამოირჩეოდა. თუმც „ამერის" დაცვას გოჩა ხოჯავა, თორნიკე აფციაური, გიორგი ჭელიძე და დავით ოდიკაძეც გვარიანად აწუხებდნენ. მოედნის ცენტრში თბილისელთა სწრაფად გათამაშებულ კომბინაციებს „ამერი" ფაქტობრივად ვერაფერს უპირისპირებდა და მეტოქის ნახევარზეც პირველ ტაიმში იშვიათად თუ გადადიოდა.



ფეხჩართული ბრძოლა ბურთისთვის: გიორგი ლოლაძე (მარცხნივ) და ალეკო კაიდარაშვილი

პირველი გოლი ხოჯავას უნდა გაეტანა, მაგრამ ლადო ნადირაშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი. მერე ოდიკაძე დაემუქრა ორჯერ „ამერის" კარს — ჯერ ხარიხას შეაწყვეტა ბურთი, შემდეგ კვლავ ნადირაშვილმა იმარჯვა. საბოლოოდ ოდიკაძე ოდენ საგოლე პასს დასჯერდა — ჭელიძეს ხელი არავინ შეუშალა და ჩინებული პოზიციიდან შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა ნადირაშვილს — ეს 33-ე წუთზე მოხდა. „თბილისს" პირველ ტაიმში ერთხელაც უნდა გაეტანა, მაგრამ გოგუამ ხარიხა შეატორტმანა.

შესვენების შემდეგ ხოჯავამ ოთხწუთიან ინტერვალში ორჯერ დაამწუხრა ამერელები — ჯერ ცაციით, მერე თავურით (51-ე და 55-ე წუთებზე) და 3:0.

ამის შემდეგ „ამერი" ოდნავ უკეთ ათამაშდა და გოლის გატანაც მოახერხა: ნიკოლაიშვილის ჩაწოდებულზე „თბილისის" მეკარე ბექა შეყრილაძემ რატი წინმძღვრიშვილი აკრძალული ხერხით შეაჩერა და 11-მეტრიანი გიორგი დეკანოსიძემ გაიტანა. მატჩის მიწურულს კი „თბილისის" იერიშებს გოლი არ მოჰყოლია.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*თბილისი: დევაძე (შეყრილაძე 46), ელიავა (სამხარაძე 71), ლოლაძე, ორბელაძე, ქემოკლიძე, გოგუა, მიკუჩაძე (მიქაძე 46), ოდიკაძე (კვარაცხელია 46), ჭელიძე (ფიფია 72), აფციაური (მიკუჩაძე 58), ხოჯავა (მესხი 68)*

*ამერი: ნადირაშვილი, დავითნიძე, კედელაშვილი, ხვადაგიანი (გვაძაბია 69), სილაგავა (ნიკოლაიშვილი 64), ბჟალავა (ბერიანიძე 69), დეკანოსიძე (ვარამიშვილი 83), ელბაქიძე (მჭედლიშვილი 46), სევასტოპულო (ჩიმაკაძე 74), სამსიანი (გარუჩავა 46), კაიდარაშვილი (წინამძღვრიშვილი 46).*

**დავით თავართქილაძე**

დღეს გამთენიისას, „თბილისთან" ამხანაგური მატჩის დასრულებიდან 12 საათში, თბილისის „ამერი" ჩეხეთში გაემგზავრა და პრაღიდან 80 კილომეტრში, ქალაქ ბლშანში დაბანაკდა. „ამერი" ჩეხეთში ორკვირიან შეკრებას გაივლის.

„ამერს" ჩეხეთში ხუთი ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. მეტოქეთაგან ორი იქაური გამბრინუსლიგის გუნდი იქნება, ორი პირველი დივიზიონისა, მეხუთე მატჩში კი მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე ჭაბუკ ამერელებს გააჯიბრებს მასპინძელ 17-წლამდელებს.

„ამერი" თბილისში 7 აგვისტოს დაბრუნდება, 15 აგვისტოდან კი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად დაიწყებს ბრძოლას.

# ადამია: კამაზიდან ვისლაში

**„ვიტ ჯორჯიადან"** რუსულ „კამაზში" წასული გიორგი ადამია დღეს თბილისში ჩამოვა.

ნაბერეჟნიე ჩელნიში მყოფი ჩვენებური თავის აგენტს ორი დღის წინ შეხვდა. ადამიას რამდენიმე სხვა ვარიანტიც შესთავაზეს, მაგრამ... ყველაზე რეალური დონეცკის „მეტალურგის" წინადადება ჩანდა, თუმცა აქაც ერთი პრობლემა იყო— გიორგი ზამთრამდე მინიმალურ გასამრჯელოს უნდა დასჯერებოდა და კლუბში გასასინჯად დარჩენილიყო.ადამიამ ამ პირობაზე უარი თქვა.

ახლა კი ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ადამია ისევ „ვიტ ჯორჯიას" შეუერთდება. მისი დაბრუნება მართლაც რომ სულზე მოუსწრებთ ვეტერინარებს. „ვისლასთან" გიორგიმ დისკვალიფიცირებული ოთარ მარცვალაძის შეცვლა უნდა შეძლოს.

შევიტყვეთ, რომ ადამია „ვიტ ჯორჯიაში" ზამთრის შესვენებამდე ითამაშებს, შემდეგ კი ისევ „კამაზს" მიაშურებს და გუნდთან ერთად შეკრებაზე გაემგზავრება. ამ დროისთვის რუსებს ფინანსური პრობლემები მოგვარებული ექნებათ და ქართველ ფეხბურთელს ალბათ კონტრაქტსაც გაუფორმებენ.



**დავით ერაძე**

# ზარი ინგლისიდან: ცოტაც მოიცადე

*გუშინ გაუწყეთ, რომ თბილისის „დინამოს" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ლადო ბურდული მანჩესტერში მიემგზავრებოდა, მაგრამ...*

*გასაფრენად გამზადებულ ფეხბურთელს ინგლისიდან დაურეკეს და ამ ზარის შემდეგ ბურდული თბილისში დარჩა, თუმცა „მანჩესტერ სიტის" ვარიანტი კვლავაც აქტუალურია.*

*რაზე ელაპარაკნენ ბურდულს ინგლისელები რატომ შეყოვნდა მისი გამგზავრება, ამის შესახებ თავად ლადო მოგვითხრობს...*

— ყველაფერი მზად მქონდა, ბილეთებიც, ვიზაც და უკვე აეროპორტში მივდიოდი, რომ ინგლისიდან დამირეკეს. ბოდიში მომიხადეს, მცირე გაუგებრობაა და რამდენიმე დღე მოიცადეო, მითხრეს.

— კი მაგრამ, შენ ისედაც კვირას უნდა გაფრენილიყავი მანჩესტერში, მაგრამ თავად დაგაჩქარეს...

— მე ვერაფერს ვიტყვი, რაღაც გაუგებრობის გამო ჩემი ჩასვლა, მოდი, ასე ვთქვათ, გადაიდო.

— ბუნებრივია, შენც გაგიჩნდებოდა კითხვები, რა მოხდა...

— ბოლოს ისლა ვუთხარი, კარგია, ყველაფერი თბილისში რომ შემატყობინეთ-მეთქი. ჰაერში რომ ვყოფილიყავი, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მდგომარეობაში ჩავვარდებოდი. ისიც ვუთხარი, ჯობს, დალაგებით მითხრათ თქვენი სათქმელი, რათა აქეთ-იქით ტყუილად არ ვიარო-მეთქი.

— ალბათ იმედგაცრუებულიც ხარ...

— იმედგაცრუებული არ ვარ. სხვა საქმეა, რომ ჩავსულიყავი და შემდეგ აბარგება დამჭირვებოდა. თუმცა რაც მოხდა, მაინც არასასიამოვნო იყო. ფსიქოლოგიურად კი ამის გამო ნაღდად არ დავრთგუნულვარ. ფეხბურთელი ასეთი სიურპრიზებისთვისაც მზად უნდა იყოს.

— გამოდის, „დინამოს" ბატესთან საპასუხო მატჩშიც დაეხმარები...

— კარგი იქნება, „დინამოს" ევროტურნირზე წარმატებულ თამაშში ჩემი წვლილიც თუ იქნება. ახლა გუნდთან ერთად ბატესთან სათამაშოდ სრული დატვირთვით გავაგრძელებ ვარჯიშს.

— შენი და „სიტის" საქმე საბოლოოდ როგორ იქნება?

— წასვლით ნაღდად წავალ. მითხრეს, რომ ჩემით დაინტერესებულები არიან და სამ-ოთხ დღეში დამირეკავენ. ისეთი ხალხია, რასაც იტყვიან, იმას აკეთებენ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მალე მათი საბოლოო პასუხი მაინც მეცოდინება.

**დავით ერაძე**

# რეჰაგელმა სასწაული სიტყვით დაიწყო

ევროპის ჩემპიონატი სამი კვირის წინ დამთავრდა. ემოცია ჩაცხრა, გონება გაცივდა, ანალიზი გაკეთდა — საბერძნეთი დამსახურებული ჩემპიონია!

და მაინც, ბერძნების პორტუგალიურ ფურორზე ქომაგი კიდევ კარგა ხანს ილაპარაკებს. ილაპარაკებს იმ ფეხბურთელებზეც, რომლებსაც ორი თვის წინ არ იცნობდა, ჰა-ჰა, მათი გვარებისთვის ყური მოეკრა, პორტუგალიის მერე კი...

ჰოდა, სადაც ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრების ხსენება იქნება, მწვრთნელთან და ერთ-ორ ფეხბურთელთან ერთად ითქმება ეს სახელიც — სტელიოს იანაკოპულოსი, ბერძნების 8 ნომერი, მკვირცხლი, თავხოტორა ნახევარმცველი.

პორტუგალიაში ჯგუფური ეტაპის მატჩებისას იანაკოპულოსს თავი დიდად არ გამოუჩენია, რაც ტრავმით აიხსნება, თუმც ნახევარფინალში ჩეხებთან შეცვლაზე შესულმა და ფინალში შეცვლილმა ისე ითამაშა, მოედანზე საუკეთესოც კი იყო.

მოკლედ, ევროპის ჩემპიონატის მაცქერალ ქომაგს სტელიოს იანაკოპულოსი კარგად ეხსომება. პრემიერლიგის „ბოლტონის" ნახევარმცველთან ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ კი, ვფიქრობ, ევროპის ახალ ჩემპიონებზეც უფრო სრული წარმოდგენა შეგექმნებათ.

მაშ ასე, „სარბიელი" და ევროპის ჩემპიონი სტელიოს იანაკოპულოსი, რომელიც ახალი სეზონის დაწყებამდე საბერძნეთის ერთ-ერთ კურორტზე ისვენებს. ალალია მასზე



იანკოპულოსი და რეჰაგელი: დიდი ოსტატისა და ყოჩაღი შეგირდის სიხარული

## სტელიოს იანაკოპულოსი ზღვაზე გეპატიჟებათ

— მწვრთნელით, ოტო რეჰაგელით დავიწყოთ საუბარი. ის ჯადოქარია?

— ის ღმერთია. მისი დარი სპეციალისტი ქვეყანაზე ერთი-ორი თუ მეგულება. რეჰაგელი ძალიან მკაცრია და მომთხოვნი, ჩვენთვის მისი ერთი სიტყვა კანონია და თუ შესრულების თავი არ გაქვს, არც გაძალებს, მშვიდად, ტაქტიანად გეტყვის, რომ ნაკრების დონის ფეხბურთელი არ ხარ. ეს არაა საწყენი. რეჰაგელი ტიპური გერმანელია, ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ რასაც ამბობს, რეალურს ამბობს.

— როცა რეჰაგელი დაინიშნა, თქვენ ნაკრებში იყავით?

— დიახ, რეჰაგელმა პირველსავე შეკრებაზე გამომიძახა. თუმც მერე ერთი ხანობა აღარ მიწვევდა. ეტყობა, მის მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებდი.

— რაკი რეჰაგელმა თავიდანვე გამოგიძახათ, გვითხარით, რა იყო პირველი, რაც მწვრთნელმა ნაკრებში დანიშვნისთანავე გააკეთა?

— კარგად მახსოვს რეჰაგელის სიტყვები, რომელიც გუნდის გაცნობისას თქვა: იცოდეთ, თქვენ მოგება შეგიძლიათ, თქვენც ისეთივე ადამიანები ხართ, როგორც სხვები, არც ნაკლებნი, არც გამორჩეულნი. მწვრთნელი თავიდანვე შეეცადა ჩვენი მენტალიტეტის შეცვლას, ერთი წელი ერთსა და იმავეს გვიმეორებდა, არანაირ ტექნიკა-ტაქტიკაზე ლაპარაკი არ ყოფილა. როცა რეჰაგელმა თავისას მიაღწია, მერე უკვე ის გვასწავლა, როგორ გვეთამაშა.

— და ძალიან კარგად ისწავლეთ...

— მწვრთნელის სიტყვები ჩვენთვის გასაგები იყო. ვისაც არ ესმოდა, ის ნაკრებში ვერ მოხვდა.

— ბევრი იყო ასეთი?

— რამდენიმე, ოთხი-ხუთი ფეხბურთელი, თუმც ამაზე ლაპარაკი ახლა არ ღირს.

— ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე მწვრთნელი რას გეუბნებოდათ?

— ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, ბოლომდე ვიბრძოლოთ და თუ წავაგებთ, ქვეყანა არ დაიქცევაო.

— მაგრამ სულ ერთხელ წააგეთ.

— ნუ გამახსენებთ, რუსეთთან საშინლად ვითამაშეთ. ჯგუფიდან გასვლა, ალბათ, დროზე ადრე ვირწმუნეთ.

— ჩემპიონობა როდის ირწმუნეთ?

— მაშინ, როცა ნახევარფინალში გავედით. საფრანგეთის დამარცხების მერე თითქოს ძალა მოგვემატა და დავიჯერეთ, რომ ჩემპიონატის მოგებაც შეგვეძლო. ისე კი, როცა ფინალში ხარისტიასმა პორტუგალიას გაუტანა, იმ წუთში უკვე ჩემპიონები ვიყავით. დარწმუნებული ვიყავი, გოლს აღარ გავუშვებდით.

— ყველაზე მეტად რომელ თამაშში გაგიჭირდათ?

— საფრანგეთთან. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებს ვეთამაშებოდით, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელებს. მთავარი იყო, საწყისი ნახევარი საათი გაგვეძლო. ეს შევძელით და მერე უკვე თავდაჯერებულები ავთამაშდით, მეტოქეზე აღარ ვფიქრობდით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ.

— და რა არის თქვენი ფეხბურთი?

— ის, რაც რეჰაგელმა გვათამაშა და ევროპის ჩემპიონობამდე მიგვიყვანა.

— ყველაზე მეტად საფრანგეთთან გაგვიჭირდაო, თქვით. პორტუგალიასთან პირველ მატჩზე რას იტყვით?

— არ ვაჭარბებ, ალალად გეტყვით: ჩვენ ვიცოდით, რომ პირველ თამაშს არ წავაგებდით. ვიცოდით, რომ მასპინძელი პორტუგალია ძალიან ინერვიულებდა და თამაში გაუჭირდებოდა. ისინი უდიდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდნენ, იყვნენ, სავსე სტადიონი, პირველი მატჩი, მეტოქე საბერძნეთი, რომელსაც ყველა აუტსაიდერად თვლიდა... ჩვენ კი დასაკარგი არაფერი გვქონდა.

— ამ მატჩის მერე ჩემპიონობაზეც დაფიქრდით?

— არა, პირველი მატჩის მერე ჩვენი ჩემპიონობა წარმოუდგენელი მეგონა.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩეხებთან ნახევარფინალში შეცვლაზე შეხვედით და ნახევარი საათი ითამაშეთ, თვლით, რომ მოედანზე საუკეთესო იყავით?

— ასე არ ვფიქრობ. ვფიქრობ, რომ მოედანზე საუკეთესო მთლიანად საბერძნეთის ნაკრები იყო.

— ვიდრე მოედანზე შეხვიდოდით, მწვრთნელმა რა გითხრათ?

— ბევრი არაფერი, შენი საქმე აკეთეო. რა გამომივიდა, თქვენ შეაფასეთ.

— წარმომიდგენია, საბერძნეთში თასით დაბრუნებულებს როგორ დაგხვდებოდნენ...

— აქ უნდა ყოფილიყავით და ყველაფერი თქვენი თვალით გენახათ. ჩვენი სიხარული სხვა ქვეყნიდან ძნელი წარმოსადგენია.

— კიდევ ზეიმობთ?

— ისე აღარ, როგორც პორტუგალიიდან დაბრუნებისას, მაგრამ, მაინც - ქალაქში გასვლას ვერიდები, ტელეფონის ზარს იშვიათად ვპასუხობ, ვიცი, რომ სადმე დამპატიჟებენ, ამბებს მომაყოლებენ. მე კი ახლა მონატრებულ ცოლ-შვილთან ერთად კურორტზე ვარ.

— ჩემპიონობისთვის მთავრობისგან რა მიიღეთ?

— რამდენი მივიღეთ? ჩემთვის მთავარია, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა დამაჯილდოვა და ხალხმა უსაზღვროდ შემიყვარა. ჩვენ ღმერთებიც კი გვიწოდეს.

— ესე იგი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრები ღმერთებს უნდა ეთამაშოს. იცნობთ ქართველ ფეხბურთელებს?

— ბევრს არა. ქინქლაძე ვიცი, ქეცბაია და არველაძე.

— ევროპის ჩემპიონობის მერე საბერძნეთის ნაკრებს შესარჩევი ჯგუფის უეჭველ ფავორიტად მიიჩნევთ?

— მთლად ასეც არაა. ევროპის ჩემპიონები კი ვართ, მაგრამ შესარჩევ ჯგუფშიც ძლიერი მეტოქეები გვყავს. ჩვენი მთავარი კონკურენტი ვფიქრობ, თურქეთი იქნება, მერე უკრაინა, დანია და საქართველო.

— უკრაინას უფრო აფასებთ, ვიდრე დანიას?

— ჩვენ ყველა მეტოქეს ვაფასებთ, ევროპის ჩემპიონატის მერე ცაში არ დავფრინავთ. უკრაინა კი, რატომღაც, ვფიქრობ, ჩვენთვის უფრო უხერხული მეტოქეა.

— და ერთიც, „სარბიელის" მკითხველს, ქართველ ქომაგს რას ეტყვით?

— საბერძნეთში ჩამოვიდნენ და ზღვაზე დაისვენონ. ძალიან კარგი ამინდებია.

**ბოგა ინასარიძე**




სტელიოს იანკოპულოსი ლუიშ ფიგუს დარ ავტორიტეტებსაც არ მორიდებია



# მძლეოსანი გოგო და ფეხბურთელი ქალბატონი

## ერთადერთი პრობლემა ფულია



*გაისად, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, ქართული ფეხბურთი ქალებითაც წარდგება საერთაშორისო სარბიელზე — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე შესაძლოა, ეროვნულის გარდა რომელიმე ასაკობრივმა ნაკრებმაც ითამაშოს. ვანდა კალინინა კი „ავაზაში" თამაშობს და ეროვნული ნაკრების პოტენციური წევრიცაა. მას ნაკრებში ერთხელ უკვე უთამაშია, როცა ოთხი წლის წინ რუსთავში თურქეთის ეროვნულმა ნაკრებმა ჩვენს ქალებს 1:0 სძლია. სულ კი საქართველოს ქალთა ეროვნულ გუნდს ორი ოფიციალური მატჩი ჩაუტარებია.*

საქართველოში ქალთა ფეხბურთის ბაირამცენტრი საფეხბურთო სკოლა „ავაზაა". თბილისში თუ რომელიმე გოგონას ან მოწიფულ ქალს ფეხბურთის თამაში სურს, დილმის მასივში, „ავაზაზე" მიდის და იქ დასდევს ბურთს — „ავაზა" მათთვის სახლივითაა, 24 წლის ვანდა კალინინაც ავაზელია.

„2000 წელს შესარჩევ ეტაპზე ჯერ იუგოსლავიას ვეთამაშეთ, მერე თურქეთს, შემდეგ საბერძნეთში უნდა წავსულიყავით, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთების ფული არ გამოჩნდა და საბერძნეთში ავტობუსით ხომ არ წავიდოდით?! საბერძნეთში ვერწასვლის გამო დისკვალიფიკაცია მოგვცეს და საქართველოს ჩემპიონატიც არ ტარდებოდა, ჩვენ მხოლოდ ვვარჯიშობდით" — გვითხრა ვანდამ, ვინც ფორვარდია და წლეულს განახლებულ საქართველოს ჩემპიონატში „ავაზასთან" ერთად ჩემპიონი გახდა.

ჩემპიონატი ივნისში გაიმართა ქობულეთში და იქ ოთხი გუნდი მონაწილეობდა — ხაშურის, ლაგოდეხის, ბათუმის და, რა თქმა უნდა, „ავაზა". ავაზელებმა სამივე მეტოქესთან დიდი ანგარიშით მოიგეს, მაგრამ ჰონორარი ამაში არ მიუღიათ.

„ვისაც ქობულეთში წამოსვლა გინდათ, 70 ლარი უნდა გადაიხადოთ — ასე გვითხრეს, მაგრამ ყველა ჩემი თანაგუნდელი ამ თანხას ვერ გადაიხდიდა, არც მე გადამიხდია არაფერი, თუმც მაინც წამიყვანეს და საქართველოს ჩემპიონი მეორედ გავხდი" — განგვიმარტავს კალინინა.

ვანდასგან გავიგეთ, რომ ავაზელებს ხელფასს კი არა, გზის ფულს არავინ აძლევს. ვანდას ვარჯიშზე წასვლა-წამოსვლისთვის ორი ლარი სჭირდება და ამის გამო ყველა ვარჯიშზე ვერ დადის. „წლინახევრის წინ სამსახური მივატოვე, რათა ფეხბურთის სათამაშოდ „ავაზაზე" მევლო, მაგრამ ეკიპირების მხრივაც არავინ გვეხმარება. ჩვენი ერთადერთი პრობლემა ფულია, თორემ ფეხბურთის თამაში ძალიან გვინდა — მოგვახსენა ვანდამ და ესეც დაამატა — ავაზელები სულ ვიგებთ და ხანდახან მოგება არც კი გვიხარია, მაგრამ ფეხბურთის თამაშის სურვილი არ ნელდება, ცხრა წლის გოგონაც კი მოვიდა ჩვენთან „ავაზაზე" ფეხბურთის სათამაშოდ".

ვანდა ნავარჯიშევი ქალბატონია, ექვსი წლიდან მძლეოსნობაზე დადიოდა „დინამოზე". ფეხბურთის სერიოზულად თამაში კი 16-17 წლისამ დაიწყო. „როცა პატარაობისას მძლეოსნობაზე დავდიოდი, ვარჯიშზე ადრიანად მივდიოდი, რათა მანამდე ფეხბურთელი ბიჭების თამაშისთვის მეცქირა. ფეხბურთის თამაში კი ჩოგბურთის ბურთით დავიწყე. მერე კი მძლეოსნობის მწვრთნელმა მითხრა, იქნებ ფეხბურთშიც გამოსცადო თავიო და „ავაზაში" მომიყვანა" — ასე მოხვდა კალინინა ფეხბურთში.

ვანდა წარმოშობით რუსია და ტიპიურად გულღია, უბრალო ადამიანია: „ფეხბურთი ჩემთვის ჰობია და მიუხედავად იმისა, რომ გათხოვილი ქალი ვარ, ეზოშიც ხშირად ვთამაშობ 10-12 წლის ბიჭებთან, რომლებიც ხანდახან კარზე დამიკაკუნებენ და ფეხბურთის სათამაშოდ მეპატიჟებიან".

მაგრამ რისი მაქნისია საქართველოს ქალთა ნაკრები საერთაშორისო ასპარეზზე? ვანდამ გვითხრა, რომ „ავაზაში" ყოფილი მძლეოსნები სხვებიც არიან და სისწრაფისა თუ გამძლეობის მხრივ პრობლემა არ შეიქმნება. მაგრამ ფული ჯერ არსაიდან ჩანს. ვანდამ ნახმარი ბუცები იყიდა თხუთმეტ ლარად და ფეხბურთს ამით თამაშობს...

**დავით თამართძილაძე**

# ლატვიელებს [illegible] გაეზარდათ

## ზურაბ დინამო საეჭვოდ ახსენა

*რიგის „სკონტომ" ორი მატჩის ჯამში 7:1 დაამარცხა უელსური „რილი" და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა, სადაც თურქულ „ტრაბზონსფორს" შეხვდება. ბრიტანელებთან მატჩში კი ერთ-ერთი საუკეთესო ზურაბ მენთეშაშვილი იყო. „სკონტოს" მეათე ნომერი დღესდღეობით გუნდის ლიდერად ითვლება და ალექსანდრს სტარკოვსს მისი ძალიან ეიმედება. გეხსომებათ, ცოტა ხნის წინ სტარკოვსი მენთეშაშვილისთვის ლატვიის მოქალაქეობის მიცემას და ევროპის ჩემპიონატზე წაყვანასაც ეშურებოდა, თუმცა...*

*ზურას გუშინ რიგაში შევეხმიანეთ და აქეთურ-იქითურზე ველაპარაკეთ...*

— „რილს" მოვუგეთ და ახლა „ტრაბზონსფორთან" სათამაშოდ ვემზადებით. თურქებთან ძალიან მძიმე მატჩები გველის.

**— გაივლით ამ ეტაპს?**

— რა ვიცი... თამაშის მერე ვთქვათ.

**— წინასწარ ვერ შეაფასებ შანსებს?**

— წინასწარ ვერა, პროგნოზები არ მეხერხება.

**— „რილთან" გიორგი ყიფიანმაც ითამაშა?**

— კი, შეცვლაზე შემოვიდა.

**— ლევან კორღალიძის საქმეები როგორ არის?**

— ლევანი თურქეთში გაუშვეს დასასვენებლად.

**— ფეხი მოირჩინა?**

— მგონი, მალე სრული დატვირთვით ვარჯიშსაც დაიწყებს. ერთი სული გვაქვს, როდის დაგვიბრუნდება.

**— პროგნოზები არ მეხერხებაო, თქვი. ესე იგი, ლატვიის ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლასაც ვერ წარმოიდგენდი...**

— და ვინმე წარმოიდგენდა ასეთ რამეს? ეს სასწაული იყო, მეტს ვერაფერს დავარქმევ.

**— სასწაული რატომ, არ ეკუთვნოდა?**

— ეგ არ მითქვამს. უბრალოდ, იმ ჯგუფიდან გასვლა ლატვიისთვის სასწაულის ტოლფასი იყო.

**— ახლა რა ხდება რიგაში?**

— ერთ ამბავში არიან. სულ ევროპის ჩემპიონატს იხსენებენ და მაგრად „მარიაჟობენ". არ მეგონა, ამხელა აჟიოტაჟს თუ ატეხდნენ, აქ ხომ ფეხბურთი იმდენად არ უყვართ...

**— თანაგუნდელებს ცხვირი ხომ არ აუბზეკიათ?**

— ჰო, რაღაც სხვანაირები დაბრუნდნენ, ცხვირაწეულები დადიან. ეს მოედნის მიღმა იმდენად არ იგრძნობა, რამდენადაც გუნდში.

**— შენ რომ ითამაშო ევროპის ჩემპიონატზე, ასევე არ მოიქცევი?**

— იქ მათამაშა და... როცა რამეს მიაღწევ, მერე მეტის უფლებას აძლევ საკუთარ თავს.

**— სტარკოვსს ბევრი მთხოვნელი ჰყავდა და აპირებს სადმე წასვლას?**

— ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე „სკონტოში" დარჩება. ისე, მართლაც ბევრი გუნდი იწვევს.

**— ჩემპიონთა ლიგაზე რას გეგმავთ?**

— რაც შეიძლება, შორს გასვლას. ვნახოთ, „ტრაბზონსფორთან" რას ვიზამთ...

**— ლატვიის ჩემპიონატში ალბათ მაგრად გაგიჭირდებათ...**

— სხვათა შორის, ადრინდელივით იოლად ველარ ვიგებთ, უფრო დაძაბული ჩემპიონატია. ახლა მეორე ადგილზე ვართ და ჯერ-რაც ბევრი გვაქვს საომარი.

*ამის მერე მენთეშაშვილი კარგა ხანს მელაპარაკა თბილისის „დინამოზე", ყველაფერი გამომკითხა, სატრანსფერო ამბებითაც დაინტერესდა. ერთი სიტყვით, ზურას „საეჭვო" ინტერესმა კითხვები გამიჩინა...*

**— „დინამოსადმი" ამხელა ყურადღებას ტყუილად არ გამოიჩენდი...**

— უბრალოდ, დიდი ხანია, საქართველოდან არავინ შემხმიანებია და...

**— ესე იგი, სხვანაირი ინტერესი არ გაქვს?**

— არა, არა... „დინამოში" გადასვლაზე არ ვფიქრობ.

**— არადა, ამაზე ლაპარაკი ადრე იყო...**

— ესენგეს ტურნირის შემდეგ მართლა მქონდა „დინამოში" გადასვლის შანსი, მაგრამ... არა მგონია, საქართველოში დავბრუნდე, რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება ამაზე დავფიქრდე, ახლა კი ეს გამორიცხულია, სხვა გეგმები მაქვს...

**ბაჩა შალამბერიძე**



# დანიაში ცოტას გამოვიდნენ

სამი დღის წინ გაუწყეთ, რომ ქართველი ფეხბურთელები არჩილ სახვაძე და მიხეილ ბობოხიძე დანიურ კლუბ „ჰერფიოლგეში" იმყოფებოდნენ გასასინჯად.

გუშინწინ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გუნდის მთავარი მწვრთნელის ალან ნილსენის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ის ამბობს: „ქართველ ფეხბურთელებში საკმაო პოტენციალი დავინახე, სისწრაფეც არ დაეწუნებათ. ამ ფეხბურთელებს ჩვენი კლუბის გაძლიერება შეეძლოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათთან დამშვიდობება მოგვიხდა".

ტრანსფერის ჩაშლის მიზეზს კი „ჰერფოიოლგეს" სპორტული დირექტორი პერ რუდი აკონკრეტებს: „ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ ფეხბურთელებმა იცოდნენ, რა პირობებს შევთავაზებდით, მაგრამ საბოლოოდ გაუგებრობა მოხდა. ვწუხვარ, რომ ქართველი ფეხბურთელები ჩვენთან არ დარჩნენ."

როგორც გაირკვა, „ჰერფიოლგეს" შეთავაზებული ხელფასი იმდენად დაბალი ყოფილა, რომ ფეხბურთელებს უყოყმანოდ უარი უთქვამთ და გუშინვე თბილისისკენ გამოემგზავრნენ.

**დავით ერაძე**

# შარმიანი მახინჯი

## ბარსელონას რონალდინიოს ბაცილა შეეყარა



**2003 წლის 21 ივლისს, როდესაც რონალდინიო ბარსელონაში კონტრაქტის გასაფორმებლად ჩავიდა, მის შესახვედრად ასეულობით ქომაგმა მოიყარა თავი. ეს კარგი ნიშანი იყო, ანუ იმას ნიშნავდა, რომ კატალონიაში გმირი სჭირდებოდათ და ეძებდნენ.**

და ბარსელონამ მიიღო, რასაც ეძებდა — მან ბურთი თავის ნახევარზე იხელთა, ოთხი სევილიელი მცველი ჩამოიტოვა და 30 მეტრიდან გაიტანა. იმ დღის შემდეგ რონალდო დე ასის მორეირა გმირია.

გასულ სეზონში ბრაზილიელმა 22 გოლი გაიტანა და ხუან ლაპორტას „ბარსას“ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გამეფებულ, ეგრეთ წოდებულ „კარგად ყოფნის ფაქტორს“ თავის წილ გაუმაგრა ზურგი. აქ ყველაფერი კარგად აეწყო: ლაპორტა ახალგაზრდაა, ამბიციური, ქომაგებთან მეგობრული, ხოლო რონალდინიო მოედანზე ბრწყინვალე და თან ძალიან გულწრფელი, უშუალო, ნალდი. ის თამაშობს და ალალად უხარია.

„ბედნიერი ფეხბურთელი ვარ“ — ამბობს 24 წლის ფორვარდი, რომელმაც, როგორც ამბობენ, მთელ გუნდს გადასდო თავისი „თამაშით სიამოვნების“ ბაცილა. ასეთი რიტუალი აქვს, ყოველი თამაშის წინ ყველას უნდა გადაეხვიოს.

„თანაგუნდელებს რომ ვეხვევი, ენერგიით ვმუხტავ“.

ამის შემყურე ბარსელონის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის ლექტორმა სებასტია სერანომ მეცნიერულად ჩახლართა: „ეს ჩახუტებები არავერბალური კომუნიკაციების სივრცეს ჰქმნის და ეს სულიერ ლიდერობას აღწერს“.

იმ სეზონში, როდესაც „რეალში“ თამაშობდნენ ზინედინ ზიდანი, რონალდო, რობერტო კარლოსი, ლუიშ ფიგუ და დევიდ ბექემი, ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელი რონალდინიო გახდა.

„მე უფრო პასების გადამცემი ვარ და ერთი-ორი პასი მართლაც გადავაწოდე, მაგრამ უფრო მეტი გავიტანე და ამ ცვლილებით კმაყოფილი დავრჩი. მეგონა, ბევრი რამ უფრო ნელა შეიცვლებოდა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ სხვანაირად მოხდა.

ესპანეთში ბურთაობა ჩემს ხასიათს ეწყობა. სანამ გადმოვბარგდებოდი, ტელევიზიით სულ პრიმერას ვუყურებდი. აქ ბრაზილიელების მაგვარად თამაშობენ. ენა, კლიმატი, კულტურა, ყველაფერი ჰგავს ბრაზილიას. ალბათ, ამან გამიადვილა „ბარსელონაში“ გადასვლა“ — ამბობს ის.

მოკლედ, ესპანეთს მოერგო, ახლა წინ მიზნებია: „ბარსა“ ორწლიანი არყოფნის შემდეგ ჩემპიონთა ლიგას უბრუნდება.

„ძალიან სერიოზულ მუშაობას ვაპირებ, რათა „ბარსელონას“ სახელი რაც შეიძლება შორს გავიტანო. მე აქ რაღაცის კეთება დავიწყე და ბოლომდე მივიყვან“.

და ბოლოს: „მახინჯი ვარ, მაგრამ შარმიც ხომ მაქვს?“ — აი, ასეთია მსოფლიოს ჩემპიონი და „კოპა ამერიკას“ გამარჯვებული რონალდინიო.

**პაპუნა ძიძია**



# ედმილსონს კატალონიაში ელიან

ფრანგული „ლიონის“ 28 წლის ბრაზილიელი ედმილსონი უახლოეს ხანში შესაძლოა „ბარსელონაში“ ვიხილოთ. სამუელ ეტოოს საქმის საბოლოო ჩავარდნის მერე ხუან ლაპორტა ამჟამად დაცვის გაძლიერებაზე ზრუნავს და ედმილსონისთვისაც ამიტომ დაუდგამს თვალი. შევნიშნოთ, რომ თავად მოთამაშესაც სურს „ბარსაში“ გადასვლა.

„მსოფლიოს ნებისმიერი მობურთალი და მათ შორის მეც უდიდესი სიამოვნებით ითამაშებს „კამპ ნოუზე“. „ბარსა“ ბრწყინვალე გუნდია. იქ მოხვედრა ფეხბურთელის კარიერაში მნიშვნელოვანი წარმატებაა“ — განუცხადა ფრანგულ LE PROGRES-ს ოკეანისგაღმელმა ჩემპიონმა.

ედმილსონი 2002 წლის კორეა-იაპონიის მუნდიალის ოქროსმედალოსანია. ეს ტიტული ამჟამინდელ ბარსელონელებთან, რონალდინიოსა და ბელეტისთან ერთად მოიგო.

„იგი კარგი ფეხბურთელია, მწვრთნელსაც მოსწონს და თუ ყველაფერი მოგვარდა, ედმილსონი 2004-05-ის სეზონში „ბარსაში“ ითამაშებს“ — უთხრა გუშინ კატალონიურ „ელ მუნდო დეპორტივოს“ „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ. აქვე ვთქვათ, რომ კატალონიელებმა ფრანგებს ედმილსონში 8 მილიონი ევრო შესთავაზეს.

**ლადო ხომერიკი**

# გაგიცნობთ და გავიტან

## ლარსონმა გოლი ვერ დაიფიცა

გლაზგოს „სელტიკის“ ყოფილი მეგოლე, შვედი ჰენრიკ ლარსონი ახალ გუნდს, „ბარსელონას“ ეცნობ-ეჩვევა.

„უკვე რამდენჯერმე ვივარჯიშე ახალ თანაგუნდელებთან ერთად და გეტყვით, რომ „ბარსაში“ ყოფნით ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა მხოლოდ „ბარსელონას“ შემადგენლობაში ჩემს დებიუტზე ვფიქრობ, „კამპ ნოუზე“ პირველ მატჩს მოუთმენლად ველი“ — უთხრა სკანდინაველმა მოიერიშემ იქაური „სპორტის“ კორესპონდენტს. შვედ ფორვარდს გრძნობათა მოთოკვა კარგა ეხერხება და კატალონიელ გულშემატკივრებს გოლთაცვენას არ პირდება. „ჯერჯერობით ბევრ გოლს ვერ შეგპირდებით. ახალ კლუბს და ქალაქს, აქაური ცხოვრების წესს უნდა შევეჩვიო, მერე კი ვნახოთ, ალბათ, ცუდი სეზონი არ მექნება“ — ამბობს ჰენრიკ ლარსონი.

გავიხსენოთ, რომ შვედმა თავდამსხმელმა შოტლანდიურ „სელტიკში“ თამაშისას 257 მატჩში 207 გოლი გაიტანა და გლაზგოელ ფანობას თავი სამუდამოდ დაამახსოვრა.

**ლადო ხომერიკი**



## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XV ტური

ლაჰტი 2:1 ინტერი

როვანიემი 1:0 ალიანსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 16 | 10 | 4 | 2 | 30:9 | 34 |
| ინტერი | 14 | 8 | 2 | 4 | 31:20 | 26 |
| ტურკუ | 15 | 8 | 2 | 5 | 25:20 | 26 |
| ტამპერე | 13 | 7 | 3 | 3 | 18:10 | 24 |
| ალიანსი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:15 | 24 |
| ჰიკ | 15 | 5 | 8 | 2 | 23:15 | 23 |
| ქტპ | 15 | 6 | 5 | 4 | 21:17 | 23 |
| ტპ 47 | 15 | 6 | 3 | 6 | 22:20 | 21 |
| ლაჰტი | 16 | 4 | 8 | 4 | 19:22 | 20 |
| ჯაზი | 14 | 4 | 4 | 6 | 22:24 | 16 |
| მიუპა | 13 | 4 | 4 | 5 | 13:18 | 16 |
| როვანიემი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:33 | 12 |
| იარო | 15 | 3 | 1 | 11 | 15:32 | 10 |
| ჰამენლინა | 15 | 1 | 4 | 10 | 16:33 | 7 |

# კაპელოს და პრანდელის კუდები
## ძველ-ახალ რომაელთა პრესრინგში





**ძალიან** საინტერესო კუდები მოება „რომას“ ახალი მწვრთნელის, ჩეზარე პრანდელის რამდენიმე დღის წინანდელ ნათქვამს, აქაოდა, გუნდში ტაქტიკური თვალსაზრისით დიდი არეულობა დამხვდაო. უმცროსი კოლეგის ამ თავხედობას „რომას“ ყოფილი თავკაცი, დღეს „იუვენტუსის“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო გამოეხმაურა.

„ოთხ კლუბში მიმუშავია და ერთხელაც არ დამცდენია თუნდაც ერთი სიტყვა ადამიანზე, რომელიც იქ ჩემს მისვლამდე იყო — განრისხდა კაპელო — თავიდან პრანდელიმ თქვა, რომ მოთამაშეები ტექნიკურად მომზადებულები დახვდნენ, რაც კომპლიმენტად მივიღე, რადგან ეს მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ მე „რომაში“ კარგი სამუშაო გავწიე. რაც შეეხება ტაქტიკას, მას არ უნდა დაავიწყდეს, რომ გუნდი, რომელიც მან „რეინჯერსის“ წინააღმდეგ ათამაშა და რომელმაც 1:4 წააგო, არაფერ კავშირში არ იყო ჩემეულ „რომასთან“.

ნებისმიერი გუნდი, რომელიც ჩემს კარიერაში გამიწვრთნია, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში ორგანიზებული გახლდათ და ამას მათ მიერ მოპოვებული ჯილდოები ადასტურებს“.

აღსანიშნავია, რომ კაპელოსგან შერისხულ ინტერვიუში პრანდელიმ ჯერ კიდევ კაპელოს დროს დაგეგმილი უხვი ამხანაგური თამაშებიც გააკრიტიკა, რა ამბავია, რად მინდოდაო.

„ამხანაგური თამაშების განრიგის შედგენისას ბევრი ფაქტორის გათვალისწინება მიხდებოდა, მათ შორის ეკონომიკურის. დღეს ფული ფეხბურთში იმდენს ნიშნავს, რომ ბევრი გუნდი ამხანაგური თამაშებით თანხის მოკრებას ეშურება“ — განმარტა ტაქტიკოსმა.

და კაპელოს განრისხების თუ აღშფოთების მეორე დღეს პრესაში უკვე პრანდელის კომენტარი გამოჩნდა. პრანდელი მისი სიტყვების ცუდად გაგებაში ჟურნალისტებს სდებდა ბრალს:

„კაპელოზე საერთოდ არაფერი მითქვამს — აცხადებდა „პარმას“ ყოფილი ხელმძღვანელი — მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ „რომაში“ ერთმანეთისთვის უცნობი ფეხბურთელები დამხვდნენ. სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ტაქტიკურ დონეზე არეულობაა, მზად არ არიან, ხოლო [illegible] რებ, [illegible] კრა[illegible]ს სიტყვ[illegible]

მე [illegible] ფეხბურთელების მწვრთნელი არ ვყოფილვარ. მერედა, კრისტიან პანუჩის არ უთამაშია, კრისტიან კივუ დაშავებულია, ვალტერ სამუელი და ჯონათან ძებინა გუნდში აღარ არიან...

კაპელო არასდროს გამიკრიტიკებია და მისი ნამუშევრის შეფასებას არც მომავალში ვაპირებ. მე ვგულისხმობდი ფეხბურთელებს, რომლებთანაც მას არასდროს უმუშავია“.

აღსანიშნავია, რომ „რომამ“ ავსტრიულ ტურნეში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა, ამჯერად ინგლისურ „სტოკ სიტისთან“ და მოიგო 2:0. გოლები ფილიპ მექსესმა და გაეტანო დაგოსტინომ გაიტანეს.

„მართალია, რვა დღეში სამი თამაში ცოტა გადამეტებულია, მაგრამ ბევრი საინტერესოც შევამჩნიე. მაგალითად, მექსესმა ამჯერადაც ძალიან კარგად ითამაშა და მისი აღმოჩენა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. მოედანზე ჩანს, რომ ის ძლიერი პიროვნებაა“ — დასძინა მწვრთნელმა.

ხოლო მართლა ცუდი ცნობა „რომას“ ქომაგებისთვის დამიანო ტომაზის ტრავმაა. ამბობენ, მან მუხლი სერიოზულად იტკინაო, თუმცა ექიმები ჯერ მაინც შეამოწმებენ ყველაფერს.

**პაპუნა ძედია**



# ჭდომა მქმსი ქმირით
## ინძაგი ოპერაციას გადაურჩა

**ფილიპო** ინძაგის ექვსკვირიანი დასვენება გამოუწერეს — ასეთი გახლავთ „მილანის“ ფორვარდის ამსტერდამის კლინიკაში ჩასვლისა და ნატკენი კოჭის ტესტირების ამბავი. ეს ცხადია, ინძაგისა და მისი ქომაგებისთვის ძალიან უსიამოვნო ცნობაა, მაგრამ იმას, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ანუ ოპერაციას სჯობს.

შეგახსენებთ, რომ ინძაგიმ აპრილში უკვე გააკეთა ერთი ოპერაცია, რის შემდეგაც თითქოს მდგომარეობა გამოუკეთდა და ევრო 2004-ზე გამგზავრების პრეტენზიაც კი გაუჩნდა, მაგრამ როგორც თანდათან გაირკვა, კოჭის ტკივილი თავს არ ანებებს.

„ინძაგი „მილანის“ სერიოზული კაპიტალდაბანდებაა და ამიტომ გვინდა ვიცოდეთ, რა ხდება“ — განაცხადა კლუბის ექიმმა მასიმილიანო სალამ.

დღევანდელ იტალიურ გაზეთებში წერია, რომ თუ 31 წლის ფორვარდს ამსტერდამული მკურნალობისა წესი გამოადგება, არ არის გამორიცხული, სერია A-ს პირველი ტურისთვის, 12 სექტემბრისთვის მზადაც იყოს.

**პაპუნა ძედია**

# ბებერი ქალბატონი თუ შეგიჩნდა...
## ჯილარდინოს პარმა გადააფიქრებინეს

**ალბერტო** ჯილარდინოს საგამ ახალი, მოულოდნელი მიმართულება მიიღო — ფეხბურთელმა, რომელიც გუშინ აცხადებდა, რომ „პარმაში“ დასარჩენად ემზადებოდა, „პარმასთან“ საერთო ენა ვერ გამონახა. ფორვარდი და მისი აგენტი „პარმას წარმომადგენლებს, ლუკა ბარალდის და ლორენცო მინოტის შეხვდნენ, მაგრამ ვაგლახ, ვერაფერზე შეთანხმდნენ.



შეგახსენებთ, გუშინდელი ვერსიის თანახმად, „ტარდინიზე“ დასარჩენად ჯილარდინოს წელიწადში 2,6 მილიონ ევროს სთავაზობდნენ 2007 წლამდე, მაგრამ გამოჟონა ხმამ, რომ თითქმის მიღწეული თუ თითქოს მიღწეული გარიგება ფეხბურთელის მხარემ ჩაშალა.

იტალიური პრესის ცნობით, ეს ყველაფერი „იუვენტუსის“ ბრალია. სწორედ ტურინელები მუშაობენ მუხლჩაუხრელად, რათა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ამომავალი ვარსკვლავი გადაიბირონ.

ჯილარდინო, რომელმაც გასულ სეზონში 23 გოლი გაიტანა, „შავთეთრების“ დაუფარავი მიზანია, მით უფრო დღეს, როდესაც მათ მარკო და ვაიო „ვალენსიაში“ გაჰყიდეს, მაგრამ...

„ჯილარდინო ბრწყინვალე ფეხბურთელი და სამომავლოდ დიდებული ინვესტიცია იქნებოდა — განაცხადა „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ — თუმცა „პარმა“ აცხადებს, რომ ის არ იყიდება და ჩვენც სხვა რა გზა გვაქვს, პარმელებს უნდა დავუჯეროთ“.

თავად ჯილარდინო, როგორც ამბობენ, ტურინში დიდი სიამოვნებით გადავიდოდა, ოღონდ მისთვის კიდევ ერთი სასურველი ადგილი „რომაა“, სადაც სამუშაოდ მისი ყოფილი პედაგოგი ჩეზარე პრანდელი წავიდა.

და მაინც, „იუვე“ უფრო რეალური ჩანს და, როგორც ზოგნი ამბობენ, ჯილარდინოს ფაბიო კაპელოს ხელში ადგილი ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ექნება. ანუ „ბებერი ქალბატონის“ შემტევი წყვილი დავიდ ტრეზეგე და ის იქნებიან.

„ჯილარდინოს გვერდით თავს ნებისმიერი ფორვარდი მოხერხებულად იგრძნობდა — განაცხადა სხვათა შორის ტრეზეგემ — თუ ის შემოგვიერთდება, მე მხოლოდ გამიხარდება“.

**პაპუნა ძედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუთი წუთის საქმე

## დავიდ ტრეზეგე ასი გოლის გატანას ფიქრობს



**ფრანგმა** ბომბარდირმა დავიდ ტრეზეგემ მიზნად „იუვენტუსის" მაისურით 100 გოლის გატანა დაისახა — მოგეხსენებათ, ტრეზეგეს და ტურინელების ძველი კონტრაქტი ერთ წელიწადში ილეოდა, რის გამოც ახლავე უნდა გადაწყვეტილიყო, რჩებოდა თავდამსხმელი „ბებერი ქალბატონის" ამალაში თუ არა. თავიდან ტრეზეგეს სახელფასო მოთხოვნა ტურინელების სურვილს არ ემთხვეოდა და ორივე მხარე ერთმანეთთან განშორებას იყო შეგუებული. ფორვარდისთვის ახალი გუნდიც კი ჰქონდა აგენტს შერჩეული, ფრანგი „ბარსელონაში" მიდიოდა, მაგრამ მას მერე, რაც „იუვენტუსში" ახალი მწვრთნელი, ფაბიო კაპელო მივიდა, სურათი საპირისპიროდ შეიცვალა: ტურინელებმა ტრეზეგეს ხელფასი მოუმატეს და ოთხი წლით გაუგრძელეს კონტრაქტი.

„მე აქედან წასვლა არ მინდოდა და ამიტომაც, ბოლოს და ბოლოს, საერთო ენა გამოვნახეთ. ახლა 2008 წლამდე „იუვენტუსის" მოთამაშე ვიქნები და მინდა ამ გუნდის მაისურით 100 გოლი გავიტანო.

მართალი რომ გითხრათ, ჩვენს ბოლოდროინდელ ურთიერთობებში იყო ერთი მომენტი, როდესაც აღარ მეგონა „იუვენტუსში" თუ დავრჩებოდი, ჩვენი გზები ერთმანეთს ძლიერ აცდენილს ჰგავდა, მაგრამ შემდეგ ორივე მხარემ მაინც მივაღწიეთ იმას, რაც გვინდოდა.

ადრე კლუბი მეუბნებოდა, რომ ჯერ ჩემი ღირებულება უნდა დამემტკიცებინა და ხელფასი მერე უნდა მომმატებოდა, მე კი ვთვლიდი, რომ რაც დასამტკიცებელი იყო, მე უკვე დამტკიცებული მქონდა, ახლა კლუბმაც ისეთი რამ შემომთავაზა და მეც ისეთ რამეზე მოვუწერე ხელი, რაც ორივეს სწორად მიგვაჩნია.

საინტერესო დამთხვევა აი, რა გახლავთ. ჯერ ფაბიო კაპელომ დამირეკა და მკითხა, რა მიშლიდა ახალი კონტრაქტის გაფორმებაში ხელს. მე ყველაფერი ვუამბე. მეორე დღეს უკვე გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ დამირეკა და ხუთ წუთში მოვაგვარეთ ყველაფერი.

რაზე მეტყველებს ეს? მხოლოდ იმაზე, რომ მხარეებს თანამშრომლობის დიდი სურვილი ჰქონდათ. აქ „იუვენტუსში" როგორც ჩემთვის, ასევე მთელი გუნდისთვის ყველა პირობაა შექმნილი, მიდი და მოიგე რაც გინდა.

ჩვენ ყველანი მოწადინებულები ვართ გასული სეზონის წარუმატებლობა რომ დავივიწყოთ" — განაცხადა ტრეზეგემ.

ამასობაში, როგორც ამბობენ, „იუვენტუსი" „პარმასგან" ალბერტო ჯილარდინოს ყიდვაზეც მუშაობს. ეს ამბავი ტურინელების ერთ-ერთმა დირექტორმა, ანტონიო ჯირაუდომ დაადასტურა.

**პაპუნა ძიძია**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

### გერმანია

**ლიგის თასი**

**შტუტგარტი 3:0 ბოხუმი**
1:0, 2:0 კაკაუ (5, 35), 3:0 საბიჩი (85)

**ნახევარფინალი**
28-29 ივლისი

**ბაიერნი — ლევერკუზენი**
**ვერდერი — შტუტგარტი**

„არსენალის" ფრანგმა მცველმა პატრიკ ვიეირამ მადრიდის „რეალში" გადასვლის სურვილი გაამხილა. ერთი სიტყვით, „არსენალს" ძალიან მცირე შანსი აქვს, რომ ვიეირა შეინარჩუნოს



პატრიკ ვიეირა და დევიდ ბეკჰემი შესაძლოა თანაგუნდელები გახდნენ

# პატრიკ ვიეირა: მადრიდში მივდივარ

მადრიდული „ასის" ცნობით, რამდენიმე დღის წინ პატრიკ ვიეირა „ჰაიბერიზე" მისულა და პირადი ნივთები წაუღია.

„პატრიკ, გვტოვებ?!" — უკითხავს სტადიონის მავან თანამშრომელს —„ჰო, ლონდონის ჰაერი აღარ მიხდება, სამხრეთში, მადრიდში უნდა გადავსახლდე"— უპასუხია ფრანგს.

არსენ ვენგერმა, ინგლისურ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ ვიეირას კიდევ ერთი სეზონით დატოვებას ეცდება, თუმცა თავად თუ იუარა, „მეთოფეები" ტრანსფერს ვერაფრით დააბრკოლებენ.

ზინედინ ზიდანმა ვიეირას ფლორენტინო პერესთან რეკომენდაცია გაუწია, ხოლო ინგლისურ პრესაში ტრანსფერის სავარაუდო ფასიც დაასახელეს — 45 მილიონი ევრო.

„რეალმა" უახლოეს 12 დღეში ვიეირა თუ ვერ შეიძინა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის სამატჩო განაცხადში ვერ შეიყვანს და ფრანგი მხოლოდ პრიმერადივიზიონში სათამაშოდ გამოადგება.

**ლადო ხომერიკი**

# შეუცვლელი კალაძე და სერჟინიო იყო

იტალიურმა „მილანმა" გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა, „შავ-წითლებს" მეტოქედ სერია C2-ის „ლეგანო" ჰყავდათ. „როსონერიმ", რა თქმა უნდა მოიგო, ქვედალიგელები 5:0 დაამარცხა.

პირველი მილანური გოლი გაიტანა არგენტინელმა ახალწვეულმა ერნან კრესპომ, ანგარიში მან გახსნა, დანარჩენი ოთხი კი კაფუმ, შევჩენკომ (2) და პირლომ შეაგდეს.

კარლო ანჩელოტიმ ახალგაზრდებიც ათამაშა, ცვლილებებიც ბლომად განახორციელა, მხოლოდ ჩვენებური კალაძე და ბრაზილიელი სერჟინიო არ გამოუცვლია.

ნამატჩევს კალაძემ თქვა, კარგი იყო, ფიზიკურადაც ჯანზე ვარო. დამსწრე ჟურნალისტებმა სწორედ ქართველი გამოარჩიეს, მარცხენა ფლანგს ჩვეულად აკონტროლებდაო.

ანჩელოტი კი განსაკუთრებით კაკა-შევჩენკო-კრესპოს ტრიოთი დარჩენილა კმაყოფილი.

„მილანმა" კი „ლეგანოსთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *დიდა (ფიორი 46) — კაფუ (აბატე 46), კოსტაკურტა (ნესტა 61), მალდინი (პეტრიკონე 61), კალაძე — ბროკი (გატუზო 61), დორასო (ლეგატი 72), სერჟინიო — კაკა (პირლო 61) — შევჩენკო (პოცი 46), კრესპო (ბარბიერი 72)*

**გიორგი ვაშაკიძე**



ერნან კრესპო

# ჰელვეგი იადონია



**დანიელი** თომას ჰელვეგი „ინტერიდან" წავიდა. მისი მომავალი გუნდი ინგლისური „ნორვიჩი" იქნება. ამბობენ, ჰელვეგის გაღებულ კარს „სან სიროდან" არგენტინელი კილი გონსალესიც უნდა გაჰყვესო.

ამგვარად, „ინტერის" ყოფილ მარჯვენა მცველს პრემიერლიგაში აბრუნებულ „იადონებთან" ორწლიანი ხელშეკრულება დააკავშირებს — ასე, თავისუფალი აგენტის სტატუსით დასრულდა დანიელის 11- წლიანი თავგადასავალი იტალიაში.

კილი გონსალესი კი ესპანეთში მიეშურება. იქაური გაზეთები ამბობენ, რომ არგენტინელის ახალი კლუბი ბარსელონის „ესპანიოლი" იქნება. მათი მტკიცებით, „ესპანიოლის" შეფებმა და ფეხბურთელმა უკვე მოითათბირეს ყველაფერზე და წინ ზოგიერთი დეტალის დაზუსტება და კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა.

**პაპუნა ძიძია**







გერმანიის ნაკრების მწვრთნელად იურგენ კლინსმანის დანიშვნას კონტრაქტზე ხელის მოწერალა აკლია — ამტკიცებს „ბილდი", ხოლო გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრესმდივან ჰარალდ შტენგერის თქმით, კლინსმანი საბოლოო დეტალების შესათანხმებლად ამერიკიდან სამშობლოში დღეს ჩავა.

# უკონტრაქტო კლინსის ბუნდესმომავალი

## კლინსმანი რუმენიგემ გაიხსენა

„მოლაპარაკება ამ უქმეებზე გაგრძელდება, მაგრამ დაზუსტებით ვერ გეტყვით, სად და როდის შედგება შეხვედრა" — განაცხადა პრესმდივანმა. გერმანული მედია კი ვარაუდობს, რომ შეხვედრა ფრანკფურტშია დაგეგმილი.

რა მოხდა? რატომ შეცვალეს გადაწყეტილება მწვრთნელის მძებნელებმა, როცა ვინი შეფერი ფრანკფურტში ჰყავდათ დაბარებული და რატომ გაფრინდა გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი (გერმანიის საფეხბუთრო კავშირის პრეზიდენტი) მოულოდნელად ამერიკაში?

კომისია, რომელიც ნაკრებისთვის მწვრთნელს ეძებდა, რამდენიმე ვარიანტს იხილავდა. ფრანც ბეკენბაუერმა ვინი შეფერთან მოლაპარაკება წამოიწყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გასულ სამშაბათს ფრაკფურტში ჩასულ შეფერს ოფიციალურად მწვრთნელობა არ შესთავაზეს.

„კაიზერ ფრანცი" ლოთარ მათეუსის კანდიდატურასაც ემხრობოდა და ამტკიცებდა, მათეუსი ნაკრების გაძღოლას შეძლებსო.

გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა და საფეხბურთო კავშირის მდივანთა ჰორსტ შმიდტმა კი ბეკენბაუერის ორივე კანდიდატი დაიწუნეს.

ხოლო გერმანიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტ ვერნერ ჰეკმანს „კაიზერ ფრანცისთვის" უთქვამს, ლოთარ მათეუსის მწვრთნელობაზე თანახმა ვარ, თავად თქვენ ნაკრების მენეჯერობას თუ იკისრებთო. ამაზე ბეკენბაუერმა უარით უპასუხა, რა დროს ჩემი მენეჯერობააო.

აქ ამოტივტივდა ერთი ძველი ამბავი: 1998 წელს, რომ გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი „შტუტგარტის" პრეზინეტი იყო, ვინი შეფერი გუნდის მწვრთნელად დაუნიშნავს, თუმც შეფერი ბუნდესლიგის პირველი წრის დასრულებისთანავე ცუდი შედეგის გამო მოუხსნია, ამიტომაც არ სურდა ფორფელდერს შეფერისთვის ბუნდესნაკრების ჩაბარება.

მოკლედ, მწვრთნელის მძებნელნი ვერ შეთანხმდნენ და ფორფელდერმა ამერიკისკენ გაუტია. ლოს ანჯელესიდან ნიუ იორკში ჩასულმა იურგენ კლინსმანმა მასთან ხუთი საათის განმავლობაში ისაუბრა. ამ შეხვედრის შემდეგ კლინსმანი მოულოდნელობისგან გაოცებული იყო, სამწვრთნელო შტაბში მუშაობაზე დავყაბულდი, მაგრამ არ ველოდი, ნაკრების თავკაცობას თუ შემომთავაზებდნენო.

გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა საქმე მოაკვარახჭინა და შინ დაბრუნდა. ახლა იგი იურგენ კლინსმანთან მოლაპარაკების დასრულებას და კონტრაქტზე ხელმოწერას ელის, რომელიც სავარაუდოდ, ორწლიანი იქნება.

კლინსმანს 2002 წელს მოკლე სამწვრთნელო კურსები გაუვლია და მაშინდელი ლიცენზია საკმარისია იმისთვის, რომ ბუნდესნაკრები ჩაიბაროს.

ჯერჯერობით უკონტრაქტო კლინსიმ განაცხადა, ჩემს გარშემო მცოდნე და გამოცდილი ხალხი უნდა შევკრიბოო და ოლივერ ბირჰოფი და ჰოლგერ ოსიეკი ისურვა.

ბირჰოფი მენეჯერობას ითავებს, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობას და ბუნდესლიგის მწვრთნელებთან მუდმივ კონსულტაციებს ითვალისწინებს.

„კლინსმანთან ერთად ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ. ყველამ იცის ჩვენი მეგობრობის ამბავი. გერმანიის საფეხბურთო კავშირთანაც საქმიანი ურთიერთობა მაქვს" — თქვა მომავალმა მენეჯერმა.

ჰოლგერ ოსიეკი გამოცდილი მწვრთნელია. მას კანადაში უმუშავია და 1990 წელს ფრანც ბეკენბაუერის მარჯვენა ხელი იყო. ოსიეკის ფუნქცია ჯერ საბოლოოდ გარკვეული არაა, მაგრამ მას ალბათ მოთამაშეების ფსიქოლოგიურად დამუშავება დაევალება. ასეთი მწვრთნელები ნბა-ს გუნდებს ჰყავთ.

„ფუნქციების განაწილება აუცილებელია, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს. ისიც უნდა გავარკიო, თუ ვინ იქნებიან სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები და მათთან ერთად შეთანხმებულად ვიმუშავო" — განაცხადა იურგენ კლინსმანმა.

39 წლის კლინსმანის მეგობარია ოლივერ კანი. ისინი გერმანიის ერთი კუთხის შვილები არიან. „ბილდი" ირონიულად მიანიშნებს, კანს ალბათ პირველმეკარეობა კვლავაც გარანტირებული ექნება, „შტუტგარტის" ტიმო ჰილდებრანდს და „შალკეს" ფრანკ როსტს ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად ისევ მოცდა მოუწევთო.

„ჩვენ განსაკუთრებით ნახევარდაცვაში გვიჭირს — თქვა კლინსმანმა — თომას ჰესლერისა და პიერ ლიტბარსკის დარი შემოქმედი ფეხბურთელები აღარ გვყავს. გუნდს სისწრაფეც ძალიან აკლია. ამ მხრივ მხოლოდ ფილიპ ლამს გამოვარჩევ".

აღსანიშნავია, რომ იურგენ კლინსმანის კანდიდატურა პირველად კარლ-ჰაინც რუმენიგემ დაასახელა „კიკერთან" ინტერვიუში. ყველაფერი კვლავაც ყირამალა თუ არ დადგა, რუმენიგეს ფავორიტი ამ უქმეებზე გერმანიის ნაკრების მწვრთნელი გახდება.

**ვაჟა ხუციშვილი**



გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი



კარლ-ჰაინც რუმენიგე

## ფეხბურთის რუკასთან

**ლატვიის** ნაკრების მცველმა იგორს სტეპანოვსმა შვეიცარიულ „გრასჰოპერთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლონდონის „არსენალის" ყოფილი ფეხბურთელით კიდევ რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ მან არჩევანი „კალიებზე" გააკეთა. შეგახსენებთ, რომ 28 წლის სტეპანოვსმა გასულ ევრო 2004-ზე არცთუ ურიგოდ ითამაშა. გასულ სეზონში იგი ბულგარულ „ბევერენში" იყო განათხოვრებული.

**ეკვადორის** ნაკრების კოპა ამერიკაზე ცუდმა თამაშმა, მწვრთნელ ერნან დარიო გომესს პოსტის დატოვება გადააწყვეტინა. ორი წლის წინ ამ უკანასკნელმა ეკვადორული ფეხბურთის ისტორიაში გუნდი პირველად გაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე. გომესი ეკვადორს 1999 წლიდან წვრთნიდა. „როცა გუნდი ცუდ შედეგებს აჩვენებს, მწვრთნელი ვალდებულია, რომ წავიდეს" — თქვა 48 წლის სპეციალისტმა.

**რუსული** „ყუბანის" პრესატაშეს თქმით, გუნდი მზადაა, თავდამსხმელი ვლადიმირ ბესჩასტნიხი მოსკოვის „დინამოს" დაუთმოს. კრასნოდარელებმა დედაქალაქელებთან ყველა დეტალი უკვე მოაგვარეს. შეთანხმება საბოლოოდ დღე-დღეზე გაფორმდება.

**ინგლისის** ნაკრების კაპიტან დევიდ ბექემის მიერ დარტყმულ ბურთს, რომლითაც მან პორტუგალიელებს თერთმეტმეტრიანი ვერ გაუტანა, ახალი პატრონი ჰყავს. პიროვნებამ, რომელმაც მაშინ ეს ბურთი დაიჭირა, აუქციონი მოაწყო და 28 ათასი ევრო ჩაიჯიბა. მყიდველი კი მავანი კანადელი გახლავთ. აუქციონის მსვლელობისას უამრავი წინადადება იყო და 10 მილიონზე მეტსაც იხდიდნენ, მაგრამ კომისიამ ეს შემოთავაზებები არასერიოზულად ჩათვალა და გააუქმა, რადგანაც იმ პიროვნებებს, რომლებიც ვითომ უფრო დიდ თანხას იხდიდნენ, რეალურად ფული არ ჰქონდათ.

**იტალიური** „იუვენტუსი" მარკო დი ვაიოს შემცვლელის ძიებაშია. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ტურინელები კანდიდატებს შორის სილვენ ვილტორდს და ადრიან მუტუს განიხილავენ. „იუვე" ამ უკანასკნელით ჯერ კიდევ მაშინ იყო დაინტერესებული, სანამ რუმინელი „ჩელსიში" გადაბარგდებოდა, ვილტორდის სახელს კი ამ ზაფხულში უკვე მეორედ უკავშირებენ „ბებერ ქალბატონს".

**ინგლისური** „მანჩესტერის" ფორვარდი ოლე გუნარ სოლსკიაერი პრემიერლიგის დებიუტსა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს გამოტოვებს. მას მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი და არ არის გამორიცხული, მკურნალობამ რამდენიმე თვესაც გასტანოს. თუმცა ექიმებს ეიმედებთ, რომ ყველაფერი 5-6 კვირაში მოგვარდება.

**იტალიური** „ლაციოს" ვეტერანმა კარის დარაჯმა ანჯელო პერუციმ გუნდთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. ვარაუდობდნენ, რომ იგი რამდენიმე თანაგუნდელის მსგავსად დატოვებდა ფინანსურ გასაჭირში მყოფ „ლაციოს", მაგრამ კლუბში ახალი პატრონის, კლაუდიო ლოტიტოს მისვლამ ვითარება შეცვალა. პერუცი სეზონში 550 ათას ევროს მიიღებს, რაც 75 პროცენტით ნაკლებია მის ძველ ჯამაგირზე.

**ინგლისურ** „ევერტონს" მალე ტომაშ რაძინსკი დატოვებს. ლონდონური „ფულემი" მზადაა, ფეხბურთელში 1,7 მილიონი გირვანქა გაიღოს. ტრანსფერი რომ განხორციელდეს, კანადელმა ჯერ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და „ფულემთან" მერე შეათანხმოს პირადი კონტრაქტის პირობები. „ევერტონმა" რაძინსკის გაყიდვა მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა საჯაროდ გააკრიტიკა კლუბის თავკაცი დევიდ მოიესი.

**ესპანური** „ატლეტიკო" ფორვარდს ეძებს და ამჯერად დიეგო ფორლანს უტრიალებს. დიდი შანსია, „მანჩესტერმა" ურუგვაელის გაყიდვაზე უარი არ თქვას, მაგრამ „წითელი ეშმაკები" ამ გარემოების გამოყენებას ეცდებიან და მადრიდელებს ფერნანდო ტორესზე ჩამოუგდებენ სიტყვას.

# იტალიური ტრანსფერები 2004-2005

## მილანი

**მოვიდნენ**

- სტამი (ლაციო)
- დორასო (ლიონი, საფრანგეთი)
- კრესპო (ჩელსი, ინგლისი)

**წავიდნენ**

- ბორიელო (რეჯინა)
- კუტუზოვი (სამპდორია)
- ალიუ (მონსი, ბელგია)
- დონატი (მესინა)
- დალა ბონა (ლეჩე)
- დონადელი (სამპდორია)
- გრაფიედი (სიენა)
- ლაურსენი (ასტონ ვილა, ინგლისი)
- როკე ჟუნიორი (ლევერკუზენი, გერმანია)
- რედონდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## რომა

**მოვიდნენ**

- კუფრე (სიენა)
- სარტორი (ანკონა)
- აკილანი (ტრიესტინა)
- ფერონეტი (ტრიესტინა)
- ბოვო (ლეჩე)
- სტურბა (კატანია)
- დომინიკი (ჩეზენა)
- ტული (სალერნიტანა)
- მ. ფერარი (პარმა)
- მექსეში (ოსერი, საფრანგეთი)

**წავიდნენ**

- სამუელი (რეალი, ესპანეთი)
- კარეუ (ვალენსია, ესპანეთი)
- ძებინა (იუვენტუსი)
- ლუპატელი (ფიორენტინა)
- ვაჰაბი (ტერნანა)
- ფ. ლიმა (ლოკომოტივი, რუსეთი)

## იუვენტუსი

**მოვიდნენ**

- კაპო (ოსერი, საფრანგეთი)
- ძებინა (რომა)
- ბლაზი (პარმა)
- მატეო ბრიგი (ბრეშა)
- კიელინი (ლივორნო)
- ბონეფოი (მესინა)

**წავიდნენ**

- ბუდიანსკი (რეჯინა)
- დი ვაიო (ვალენსია, ესპანეთი)
- კიუმიენტო (სიენა)
- ბენჯამინი (სალერნიტანა)
- ა. კონტე (თამაში მიატოვა)

## ინტერი

**მოვიდნენ**

- კამბიასო (რეალი, ესპანეთი)
- ფავალი (ლაციო)
- ხ. ვერონი (ჩელსი, ინგლისი)
- დავიდსი (ბარსელონა, ესპანეთი)
- ბურდისო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
- ვენტოლა (სიენა)
- ხუტოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)
- პოტენცა (პარმა)
- ბეატი (ტრიესტინა)
- ლომბარდი (ანკონა)
- ალტობელი (სპეცია)
- ლუმბილა (ფკ პარიზი, საფრანგეთი)
- ბელ აიდი (ფკ პარიზი, საფრანგეთი)
- ბეგორა (ბლან მენსილი, საფრანგეთი)
- ჯენტილი (პეზარო)
- მეი (პეზარო)

**წავიდნენ**

- ბრეშე (სოსიედადი, ესპანეთი)
- ოკანი (ბეშიქთაში, თურქეთი)
- ს. დალმა (ტულუზი, საფრანგეთი)
- ჰელვეგი (ნორვიჩი, ინგლისი)
- ნოსა (ვიჩენცა)
- კალონი (მონაკო, საფრანგეთი)
- ბიავა (ტერნანა)

## პარმა

**მოვიდნენ**

- ფანა (ვერონა)
- რებეკი (ჯენოა)
- ჟუნიორი (სიენა)
- პიზანუ (ვერონა)
- სიჩინიანო (ლეჩე)
- სივილია (ლეჩე)
- ბოლანო (ლეჩე)
- გრიეკო (ჯენოა)
- ბუდელი (ჯენოა)
- დე ლუჩია (სალერნიტანა)

**წავიდნენ**

- ბლაზი (იუვენტუსი)
- პოტენცა (ინტერი)
- ბ. კარბონე (კატანძარო)
- სერიჩი (ვერონა)
- მორეტი (ვალენსია, ესპანეთი)
- ბარონე (პალერმო)
- კამარატა (კატანძარო)
- მ. კასტელინი (სამპდორია)
- მ. ფერარი (რომა)
- ფალზინი (სიენა)

## ლაციო

**მოვიდნენ**

- პანდევი (ანკონა)
- დ. ბაჯო (ანკონა)
- კ. მანფრედინი (პერუჯა)

**წავიდნენ**

- სტამი (მილანი)
- ფავალი (ინტერი)
- ფიორე (ვალენსია, ესპანეთი)
- კორადი (ვალენსია, ესპანეთი)
- ალბერტინი (ატალანტა)
- კოლონეზე (სიენა)

## უდინეზე

**მოვიდნენ**

- დი მიკელე (რეჯინა)
- სოსა (მესინა)
- დე ვაკა (სერო პორტენო, ურუგვაი)
- ტოლედო (კატანძარო)
- თ. მანფრედინი (ფიორენტინა)
- ნომვეტე (სალერნიტანა)
- და სილვა (ფოჯა)

**წავიდნენ**

- იანკერი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)
- რენარდი (მოდენა)
- ნოზელი (ალტო ადიჯე)
- ლეონარდუცი (ტივოლი)

## სამპდორია

**მოვიდნენ**

- ტონეტო (ლეჩე)
- პიზანო (ბრეშა)
- მ. კასტელინი (პარმა)
- დონადელი (მილანი)
- პავანი (მოდენა)
- ედუსეი (პიაჩენცა)
- კოლომბო (პიაჩენცა)
- კუტუზოვი (მილანი)
- არტიპოლი (პესკარა)
- იაკოპინო (ლუკეზე)

**წავიდნენ**

- მ. კონტე (მესინა)
- იანაგისავა (მესინა)
- ჩიპრიანი (ბოლონია)
- ფლორო ფლორესი (ნაპოლი)
- გრანდონი (ლივორნო)

## კიევო

**მოვიდნენ**

- პეზარეზი (ტერნანა)
- მენსა (მოდენა)
- მარკონი (ვანჩანო)
- ბრევარიო (პავია)
- მუნარი (ჯულიანოვა)
- დე ფრანჩესკი (ბარი)
- ბრუნო (ბარი)
- დ. ფრანჩესკინი (ლეჩე)
- ტირიბოკი (ტორინო)
- მანდელი (ტორინო)
- დი დონატო (პალერმო)

**წავიდნენ**

- სალა (ატალანტა)
- ბონომი (სიენა)
- სანტანა (პალერმო)
- მორონე (პალერმო)
- ფრეცოლინი (მოდენა)
- სკული (ბრეშა)
- მარაცინა (ტორინო)
- ფ. კარბონე (ტორინო)
- ბარძალი (პალერმო)

## რეჯინა

**მოვიდნენ**

- გ. მარტინესი (ნაპოლი)
- ძამბონი (ნაპოლი)
- ლეონი (ფიორენტინა)
- ძოპეტი (კატანია)
- ვიკარი (ვერონა)
- ბოგდანი (სალერნიტანა)
- რ. ვერონი (სალერნიტანა)
- ლეისალი (ლიბერეცი, სლოვაკეთი)
- პიკოლო (კომო)
- ბალესტრი (მოდენა)
- განჩი (ტრევიზო)
- ბუდიანსკი (იუვენტუსი)
- კანარზა (ლივორნო)
- ესტევეში (ფერეირა, პორტუგალია)
- ბორიელო (მილანი)
- პავარინი (ლივორნო)
- დე როსა (ბარი)
- დიონიჯი (ნაპოლი)
- სინიგალია (ლუმეცანე)

**წავიდნენ**

- კოცა (ჯენოა)
- ჟირანეკი (სპარტაკი, რუსეთი)
- დალ აკუა (ტრევიზო)
- კოპოლა (ბოლონია)
- ბაიოკო (მესინა)
- სტელონე (ნაპოლი)
- სოტილი (ჯენოა)
- დი მიკელე (უდინეზე)
- კომოტო (ტორინო)
- ჯაკეტა (ტერამო)

## ლეჩე

**მოვიდნენ**

- კორალო (კროტონე)
- ჩირილო (სიენა)
- ანანია (აველინო)
- დალა ბონა (მილანი)
- მარიანინი (ტრიესტინა)
- ერიომენკო (აიკ, შვედეთი)
- პაჩი (ტერნანა)
- კასეტი (ვერონა)
- პელიკორი (ბენევენტო)
- მორელო (კასტელ დი სანგრო)
- ა. მორფეო (სორა)
- რ. ფრანჩესკინი (სპალ)
- აცორი (სპალ)

**წავიდნენ**

- ტონეტო (სამპდორია)
- უ. დალმა (გრენობლი, საფრანგეთი)
- პოლეკსიჩი (სუტიესკა, სერბეთი)
- მარინიელო (კატანძარო)
- ბოვო (რომა)
- დ. ფრანჩესკინი (კიევო)
- ბოლანო (პარმა)
- სიჩინიანო (პარმა)
- სივილია (პარმა)
- ბილი (მონსი, ბელგია)
- კუიო (მონსი, ბელგია)
- ჩევანტონი (მონაკო, საფრანგეთი)
- ამელია (ლივორნო)

## ბრეშა

**მოვიდნენ**

- მანინი (პიზა)
- დალამანო (ლუმეცანე)
- სკული (კიევო)
- ა. ლუკარელი (ფიორენტინა)
- კორტელინი (ლუმეცანე)
- ძობოლი (ალბინოლეფე)
- მანინგერი (ბოლონია)
- დომიცი (მოდენა)

**წავიდნენ**

- რ. ბაჯო (თამაში მიატოვა)
- პიზანო (სამპდორია)
- მატეო ბრიგი (იუვენტუსი)
- მანიერო (პალერმო)
- პ. კასტელინი (ბეტისი, ესპანეთი)
- მაური (მოდენა)
- ჯ. კოლუჩი (ვერონა)
- მატუზალემი (შახტარი, უკრაინა)
- პეტრუცი (ბოლონია)
- დაინელი (ფიორენტინა)
- ალბერტი (ჩეზენა)

## ბოლონია

**მოვიდნენ**

- ჟუარესი (სიენა)
- ნასტასე (პალერმო)
- კოპოლა (რეჯინა)
- ჩიპრიანი (სამპდორია)
- შმიტი (ატალანტა)
- დელა როკა (ატალანტა)
- დაინო (ანკონა)
- პეტრუცი (ბრეშა)
- ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
- ზაგორაკისი (აეკ, საბერძნეთი)
- კალაბრეზე (სანტარკანჯელესე)
- კაპუანო (პიზა)
- ბინოტო (სპალ)

**წავიდნენ**

- ნაკატა (ფიორენტინა)
- ტროიზე (ნაპოლი)
- ძანკი (მესინა)
- ნატალი (ატალანტა)
- როსინი (ატალანტა)
- ძაკარდო (პალერმო)
- მანინგერი (ბრეშა)

## სიენა

**მოვიდნენ**

- სერაფინი (არეცო)
- გრაფიედი (მილანი)
- ფალზინი (რეჯინა)
- ბონომი (კიევო)
- ჟირარდელო (კომო)
- ფოლიო (ჯენოა)
- კიუმიენტო (იუვენტუსი)
- ძანკოპე (მოდენა)
- რასიაკი (გროცლინი, პოლონეთი)
- კოლონეზე (ლაციო)
- პორტანოვა (ნაპოლი)
- ფალზინი (პარმა)

**წავიდნენ**

- ჩირილო (ლეჩე)
- ჟუარესი (ბოლონია)
- გიგუ (ფიორენტინა)
- ვენტოლა (ინტერი)
- ჯ. როსი (პალერმო)
- ლაზეტიჩი (კომო)
- კუფრე (რომა)
- ლუმბუტისი (პერუჯა)

## პალერმო

**მოვიდნენ**

- ბუდანი (ატალანტა)
- კოდრია (პერუჯა)
- ადრიანო პერეირა (გრემიო, ბრაზილია)
- მ. გონსალესი (რასინგი, არგენტინა)
- მანიერო (ბრეშა)
- ვანუკი (ემპოლი)
- დ. ანდერსონი (ანკონა)
- ჯ. როსი (სიენა)
- სანტანა (კიევო)
- მორონე (კიევო)
- დ. აბატე (ტარანტო)
- ლაი (სალერნიტანა)
- რინაუდო (სალერნიტანა)
- ბრიენძა (პერუჯა)
- კიარამიტარო (ლივორნო)
- ფერი (ასკოლი)
- ბარონე (პარმა)
- ძაკარდო (ბოლონია)
- ფარიასი (ესტუდიანტესი, არგენტინა)
- ბარძალი (კიევო)

**წავიდნენ**

- ნასტასე (ბოლონია)
- სოლიგო (პიაჩენცა)
- მასიელო (პიაჩენცა)
- ჯედა (პიაჩენცა)
- დი დონატო (კიევო)

## ლივორნო

**მოვიდნენ**

- პერნა (სალერნიტანა)
- გრანდონი (სამპდორია)
- კოლომბო (პიაჩენცა)
- ჯალომბარდო (კატანია)
- ვიდიგალი (ნაპოლი)
- კორდოვა (ბარი)
- ამელია (ლეჩე)

**წავიდნენ**

- კ. ლუკარელი (ტორინო)
- კიელინი (იუვენტუსი)
- კიარამიტარო (პალერმო)
- კანარზა (რეჯინა)
- პავარინი (რეჯინა)

## მესინა

**მოვიდნენ**

- იანაგისავა (სამპდორია)
- პასკა (სორა)
- ძამპანა (ტერნანა)
- მ. კონტე (სამპდორია)
- ილიევი (პარტიზანი, სერბეთი)
- დონატი (მილანი)
- ბაიოკო (რეჯინა)
- ძანკი (ბოლონია)
- ელეფთეროპულოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)
- რაფაელი (ფლამენგო, ბრაზილია)

**წავიდნენ**

- ბონეფოი (იუვენტუსი)
- გუცმანი (კროტონე)
- სოსა (უდინეზე)
- გუცო (ჯენოა)
- ტემელინი (სპალ)
- პრინჩივალი (ტრიესტინა)
- დე ჯორჯო (ფროსინონე)
- რუსო (ფროსინონე)
- კოპოლა (სალერნიტანა)

## ატალანტა

**მოვიდნენ**

- სალა (კიევო)
- ალბერტინი (ლაციო)
- კომანდინი (ჯენოა)
- ინაჩიო პია (პავია)
- ნატალი (ბოლონია)
- როსინი (ბოლონია)
- რივალტა (ვიჩენცა)

**წავიდნენ**

- ბუდანი (პალერმო)
- შმიტი (ბოლონია)
- ფოლიო (ვიჩენცა)
- დელა როკა (ბოლონია)
- გუარენტე (ვერონა)

## ფიორენტინა

**მოვიდნენ**

- დე ვეცე (ასკოლი)
- დაინელი (ბრეშა)
- ობოდო (პერუჯა)
- ლუპატელი (რომა)
- გიგუ (სიენა)
- ნაკატა (ბოლონია)
- აკვილანტი (პესკარა)

**წავიდნენ**

- ა. ლუკარელი (ბრეშა)
- ლეონი (რეჯინა)
- თ. მანფრედინი (უდინეზე)
- კერუბინი (ვიჩენცა)
- ბისმარკი (ვადუცი, ლიხტენშტაინი)
- დი ლივიო (თამაში მიატოვა)

## კალიარი

**მოვიდნენ**

- გობი (ტრევიზო)
- კატერიანაკისი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)

**წავიდნენ**

- მოდესტო (მონაკო, საფრანგეთი)
- პანტანელი (კატანია)

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### დანია. სუპერლიგა. I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 19.00 | 021 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 17.00 | 022 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 17.00 | 023 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 17.00 | 024 | ჰერფიოლგე-ვიბორგი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.35 | 025 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |

### შვედეთი. ალსვენსკა. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 18.00 | 030 | იურგორდენი-იორებრო | 1,65 | 3,5 | 4,6 | 1,12 | 1,21 | 1,98 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 19.00 | 031 | კალმარი-ელფსბორგი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 032 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1,6 | 3,6 | 4,8 | 1,1 | 1,2 | 2,05 |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 21.00 | 033 | გიოტებორგი-ლანდსკრონა | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 21.00 | 034 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |

### შვედეთი. სუპერეტა. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 18.00 | 037 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 18.00 | 038 | ბოდენსი-გაის | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,51 | 1,23 | 1,32 |
| 20.00 | 039 | ბრაგე-ვესტეროსი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 20.00 | 040 | ბრომაპოიკარნა-იოსტერსი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 20.00 | 041 | ჰეკენი-ფრისკა | 1,15 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,33 |
| 20.00 | 042 | ასირისკა-ოპერა | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 20.00 | 043 | ატვიდაბერგი-ფრიოლუნდა | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 20.00 | 044 | გეფლე-ნორჩიოპინგი | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |

### ნორვეგია. ტიპელიგა. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 047 | სოგნდალი-სტაბეკი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 048 | ოდ გრენლანდი-ბოდიო გლიმტი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| 20.00 | 049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 20.00 | 050 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 20.00 | 051 | ტრომსიო-ჰამარი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| 22.15 | 052 | მოლდე-ბრანი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 21.00 | 053 | ვოლერენგა-ლინი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 17.00 | 063 | იარო-ჰაამეენლინა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.00 | 064 | ჰიკ-კტპ | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 19.30 | 065 | მიუპა-ლაჰტი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1.62 |
| 19.30 | 066 | ტპ 47-ჯაზი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |

### ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 23.15 | 069 | აკრანესი-ფრამი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 23.15 | 070 | ვიკინგური-რეიკიავიკი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 23.15 | 071 | კეფლავიკი-ჰაფნარფიორდური | 2,6 | 3,0 | 2,45 | 1,39 | 1,26 | 1,34 |
| | | 26 ივლისი | | | | | | |
| 23.15 | 072 | ფილკირი-გრინდავიკი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

### რუსეთი. პრემიერლიგა. XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 16.00 | 080 | ლოკომოტივი-დინამო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 16.00 | 081 | როსტოვი-კრილია | 2,8 | 2,8 | 2,45 | 1,4 | 1,3 | 1,3 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 16.00 | 082 | ალანია-ზენიტი | 3,2 | 3,0 | 2,1 | 1,54 | 1,26 | 1,23 |
| 16.00 | 083 | სატურნი-ტორპედო | 2,4 | 2,9 | 2,8 | 1,31 | 1,29 | 1,42 |
| 16.00 | 084 | მოსკოვი-ამკარი | 1,7 | 3,1 | 4,8 | 1,09 | 1,25 | 1,88 |

### უკრაინა. პრემიერლიგა. III ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 16.00 | 097 | დნიპრო-შახტარი | 3,1 | 2,8 | 2,3 | 1,47 | 1,32 | 1,26 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 16.00 | 098 | ჩერნომორეცი-ზაკარპატია | 1,25 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,09 | 2,95 |
| 16.00 | 099 | ილიჩოვეცი-ტავრია | 1,5 | 3,4 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,17 |
| 16.00 | 100 | ბორისფენი-ობოლონი | 2,4 | 2,7 | 2,9 | 1,27 | 1,31 | 1,39 |
| 16.00 | 101 | დინამო-ვოლინი | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,58 |
| 16.00 | 102 | მეტალურგი-კრივბასი | 1,25 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,09 | 2,95 |
| 16.00 | 103 | ზაპოროჟიე-არსენალი | 2,0 | 2,9 | 3,5 | 1,18 | 1,27 | 1,58 |
| 16.00 | 104 | ვორსკლა-მეტალისტი | 1,65 | 3,1 | 5,0 | 1,24 | 1,24 | 2,5 |

### სლოვაკეთი. I ლიგა. I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 107 | ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი | 1,5 | 3,5 | 5,6 | 1,04 | 1,18 | 2,15 |
| 20.00 | 108 | დუბნიცა-პუხოვი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,13 | 1,21 | 1,77 |
| 20.00 | 109 | სობოტა-რუჟომბეროკი | 2,5 | 3,0 | 2,45 | 1,36 | 1,23 | 1,34 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 12.30 | 110 | პეტრჟალკა-ინტერი | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |

### ხორვატია. 1.HNL. I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 115 | მედიმურიე-რიეკა | 2,4 | 3,0 | 2,6 | 1,33 | 1,24 | 1,39 |
| 20.00 | 116 | ზაგრები-ინტერი | 1,95 | 3.1 | 3,4 | 1.19 | 1,23 | 1.62 |
| 22.00 | 117 | კამენი-ვარტექსი | 2,0 | 3,1 | 3,1 | 1,21 | 1,21 | 1,55 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 118 | ზადარი-დინამო | 4,8 | 3,5 | 1,55 | 2,02 | 1,17 | 1,07 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბრაზილია. სერია A. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 23.00 | 136 | კურიტიბა-ბოტაფოგო | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 23.00 | 137 | კრიციუმა-ატლეტიკო პრ | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 23.00 | 138 | ფლუმინენსე-კორინთიანსი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |
| 23.00 | 139 | ინტერნასიონალი-ჟუვენტუდი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 23.00 | 140 | სან პაულუ-ვასკუ და გამა | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 24.00 | 141 | ვიტორია-გუარანი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 01.00 | 142 | კრუზეირო-სან კაეტანო | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 01.00 | 143 | ფლამენგო-ატლეტიკო მნ | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 03.30 | 144 | პალმეირასი-ფიგეირენსე | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 03.30 | 145 | პარანა-პაისანდუ | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 03.30 | 146 | პონტე პრეტა-გრემიო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 03.30 | 147 | გოიასი-სანტოსი | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| | | **აშშ. MLS** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 01.00 | 151 | კოლორადო-კოლამბუსი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 04.30 | 153 | დალასი-ვაშინგტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 04.30 | 154 | კანზასი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 06.00 | 155 | სან ხოსე-ნიუ ინგლენდი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 19.30 | 174 | ოფკ-ტამპერე | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,15 | 2,32 |
| 17.00 | 175 | ესბიერგი-ვეტრა | 1,3 | 4,2 | 8,0 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 17.00 | 176 | დორტმუნდი-გენკი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 17.00 | 177 | დინამო(მნ)-ლილი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 18.00 | 178 | როდა-ლიბერეცი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 179 | ვარდარი-შალკე | 3,2 | 3,3 | 1,9 | 1,62 | 1,19 | 1.2 |
| 19.00 | 180 | სპარტაკი-ვილიარეალი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 20.00 | 181 | ტრნავა-სლავენი | 1,65 | 3,3 | 3,6 | 1.1 | 1.13 | 1.72 |
| 21.00 | 182 | ჰამბურგი-თუნი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1.14 | 2.6 |
| 22.00 | 183 | კორკი-ნანტი | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,62 | 1,25 | 1,21 |
| 23.45 | 184 | ატლეტიკო-ზლინი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 196 | ფულემი-რეინჯერსი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 24.00 | 200 | სელტიკი-ჩელსი | 3,1 | 3,2 | 2,05 | 1,57 | 1,23 | 1,24 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 23.15 | 202 | ბენფიკა-რეალი | 3,0 | 3,2 | 2,1 | 1,54 | 1,23 | 1,26 |
| 24.00 | 203 | მანჩესტერი-ბაიერნი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |

## ფორმულა 1 (გერმანია). 24 ივლისი (12.00)

| 8001 გამარჯვებული | | 8201 ექვსეული | | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,35 | 1,05 | 1,02 | 1,4 |
| ბარიკელო | 5,5 | 1,5 | 1,08 | 4,0 |
| მონტოია | 12,0 | 2,5 | 1,2 | 7,0 |
| პიცონია | 30,0 | 6,0 | 1,5 | 15,0 |
| კულტჰარდი | 20,0 | 4,0 | 1,3 | 15,0 |
| რაიკონენი | 8,0 | 1,8 | 1,15 | 6,0 |
| ტრული | 12,0 | 2,5 | 1,2 | 10,0 |
| ალონსო | 12,0 | 2,5 | 1,2 | 10,0 |
| ბატონი | 9,0 | 1,9 | 1,15 | 6,0 |
| სატო | 25,0 | 4,6 | 1,4 | 12,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 20,0 | 3,0 | 40,0 |
| მასა | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| უებერი | 100,0 | 20,0 | 3,0 | 40,0 |
| კლიენი | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 250,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი

TELCREDITI

10 42 00 24 +%


## ამერიკის თასი 2004

COPA AMERICA PERU 2004

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 04.45 | 013 | კოლუმბია-ურუგვაი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 24.00 | 014 | არგენტინა-ბრაზილია | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **24 ივლისი** | | | | | | |
| 5013 | კოლუმბია-ურუგვაი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| | **25 ივლისი** | | | | | | |
| 5014 | არგენტინა-ბრაზილია | 2,9 | 2,0 | 3,4 | 1,18 | 1,56 | 1,25 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **24 ივლისი** | | |
| 5413 | კოლუმბია-ურუგვაი | 1,85 | 1,95 |
| | **25 ივლისი** | | |
| 5414 | არგენტინა-ბრაზილია | 1,85 | 1,95 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **24 ივლისი** | | | | | | | | | |
| 5113 | კოლუმბია-ურუგვაი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| | **25 ივლისი** | | | | | | | | | |
| 5114 | არგენტინა-ბრაზილია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **24 ივლისი** | | | |
| 5513 | კოლუმბია-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **25 ივლისი** | | | |
| 5514 | არგენტინა-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | **24 ივლისი** | | |
| 5313 | კოლუმბია-ურუგვაი | 1,6 | 2,0 |
| | **25 ივლისი** | | |
| 5314 | არგენტინა-ბრაზილია | 1,6 | 2,0 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **24 ივლისი** | | |
| 5213 | კოლუმბია-ურუგვაი | 1,7 | 1,9 |
| | **25 ივლისი** | | |
| 5214 | არგენტინა-ბრაზილია | 1,65 | 1,95 |


ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ასანიძე ან სამსახური

## პოლონელებმა ვანო გრიქუროვს ულტიმატუმი წაუყენეს

*საქართველოს ძალოსანთა ნაკრები უკვე დიდი ხანია, ოლიმპიურ სამზადისს პოლონეთში გადის. გიორგი ასანიძე და არსენ კასაბიევი პოლონეთის ოლიმპიური რეზერვების თავკაცმა ვანო გრიქუროვმა წაიყვანა და ადგილობრივ ძალოსნებთან ერთად მშვენიერი სავარჯიშო პირობები დაახვედრა, თუმც პოლონური ძალოსნობის შეფებს ქართველთა სტუმრობა დიდად არ ეპიტნავათ და გამოცდილ სპეციალისტსაც არაერთი ულტიმატუმი წაუყვანეს. პრობლემა ყოველთვის გვარდებოდა, გრიქუროვი პოლონელთა ხუთი ოლიმპიელი ძალოსნიდან სამს პირადად წვრთნიდა და მასპინძლებიც ბოლოს ყოველთვის გაჩუმებას არჩევდნენ. ახლა კი ურთიერთობა მაქსიმალურად დაძაბულა. საქართველოს ნაკრების თავკაცი პოლონელ შეგირდებს ჩამოსცილდა და მხოლოდ ასანიძე-კასაბიევს ავარჯიშებს. წინასაოლიმპიადო სამზადისზე სასაუბროდ ვანო გრიქუროვს ამ დღეებში პოლონეთში შევეხმიანეთ...*

— კონფლიქტი ყოველთვის იყო, მაგრამ ბოლო დროს რომ დაიძაბა სიტუაცია, ასე არასოდეს ყოფილა. არჩევნის წინაშე დამაყენეს, ან გიორგი ასანიძე, ანაც სამსახურიო. გიას ვერ ვუღალატებ, უმუშევარიც რომ დავრჩე.

— პასუხი უკვე გაეცით?

— რა თქმა უნდა. პოლონეთის ნაკრები სხვა ოლიმპიურ ცენტრში გაემგზავრა შეკრებაზე. მე კი არ გავყევი.

— არც შემოუთავაზებიათ?

— რა შემოთავაზება უნდოდა. წესით, მათთან ერთად უნდა წავსულიყავი, მაგრამ უარი მას შემდეგ ვუთხარი, რაც ულტიმატუმი წამომიყენეს. ასანიძე არავითარ შემთხვევაში ჩვენს გვერდით არ უნდა იყოსო.

— ასე კატეგორიულად რატომ ეწინააღმდეგებიან გიორგის მათთან ვარჯიშს. კონკურენციას უფრთხიან?

— ასანიძის წონაში ამათ ათენში არავინ მიჰყავთ, უბრალოდ, მისი ძალიან შურთ. თან ძველი ბოღმაც აქვთ გულში ჩადებული. ორი წლის წინ მარიუშ რიტკოვსკიმ და ასანიძემ ევროპის ჩემპიონატზე ერთნაირი სიმძიმეები დასძლიეს და გიორგიმ პირადი წონით აჯობა. მაშინაც აქაური ვარჯიშები ჰქონდა გავლილი.

— არსენ კასაბიევზე პოლონელებს პრობლემა არა აქვთ?

— ცხადია, არც მისი აქ ყოფნა სიამოვნებთ, მაგრამ მასთან მიმართებაში ისე კატეგორიულნი მაინც არ არიან. გამოცხადებულია, რომ არსენი ჩემი შვილობილია. თან იგი ჯერ პატარაა.

— თუ თქვენი მოვალეობა არ შეასრულეთ და შეკრებაზე არ გაჰყევით, რამე სანქციებს ხომ არ წაგიყენებენ?

— ალბათ კონტრაქტს გამიუქმებენ, მაგრამ ჯერ ამისთვის არ სცალიათ. მითხრეს, თუ გიას არ მიატოვებ და შეკრებაზე არ წამოხვალ, ჩვენთან აღარ იმუშავებო, თუმც ოფიციალურად ჯერ არაფერი შეცვლილა. ოლიმპიადამდე არა მგონია, დამელაპარაკონ. ათენიდან დაბრუნებულები ფედერაციის სხდომას ჩაატარებენ და სათქმელსაც იტყვიან. სასჯელს კი ფაქტობრივად უკვე ვიხდი. ხელფასი შემიჩერეს. შიმონ კოლეცკის დოპინგ-სკანდალშიც კი სცადეს ჩემი გარევა. ცხადია, ეს აბსურდია და მხოლოდ მე მითხრეს, რომ გავემწარებინეთ.

— რაში დაგადანაშაულეს?

— შიმონის გვერდით რომ ყოფილიყავი და მისთვის მეტი ყურადღება მიგექცია, ეს არ დაემართებოდაო.

— ესე იგი ოლიმპიადამდე პოლონეთის ნაკრების ძალოსნებთან არაფერი გაკავშირებთ?

— ჯერჯერობით ასეა. ერთხელაც გეტყვით, უთანხმოება ადრეც არაერთხელ მოგვსვლია. ფედერაციას ულტიმატუმების დონეზეც მოუმართავს, მაგრამ ბოლოს ისევ თვითონ წყნარდებოდნენ. ახლა კი ძალიან გაღიზიანებულები არიან.

— თბილისში ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე ორი დღით ადრე აპირებდით ჩამოსვლას. კონფლიქტმა ეს გეგმაც ხომ არ შეცვალა?

— ამ მხრივ ყველაფერი ძველებურადაა. თბილისში 9 აგვისტოს ჩამოვფრინდებით.

— ბოლოს ბიჭების მზადებაზეც გკითხავთ. მათაც ხომ არ შეეშალათ ხელი?

— არა, მათი მზადება გეგმაზომიერად მიდის.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# კრივში დახლზე ისღა დაგვრჩენია, ვიწუწუნოთ

*ცოტაა თუ ბევრი, ათენის ოლიმპიადაზე ორი ქართველი მოკრივე გვეყოლება. არც ნიკა იზორია (51კგ) და არც კოტე კუპატაძე (57კგ) თავიანთ წონით კატეგორიებში ფავორიტებად არ ითვლებიან, მაგრამ მედლის აღების პრესპექტივა იქნებ აქვთ კიდეც. თუნდაც სიდნეი 2000 და ვლადიმერ ჭანტურიას ბრინჯაო გავიხსენოთ, რაც თავისთავად სიურპრიზად მოინათლა. ჰოდა, იქნებ ელადაშიც...*

ამჟამად იზორია და კუპატაძე უკრაინის ქალაქ ალუშტაში ბელარუს, უკრაინელ და ეგვიპტელ მოკრივეებთან ერთობლივად ვარჯიშობენ. თბილისში 31 ივლისს ჩამოვიდნენ, ხოლო 9 აგვისტოს უკვე... თბილისი — ათენის ავიარეისია.

უკრაინულ მზადებამდე ნიკამ და კოტემ რუმინეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯეს მუშტები, სადაც მთლიანობაში 87-მა ლიცენზიანტმა მოიყარა თავი. ევროპის წლევანდელმა ვიცეჩემპიონმა იზორიამ ყველა მეტოქე იოლად დაჩაგრა, ფინალში 51 კილოგრამში ერთ-ერთი ფავორიტი, მოლდოველი იგორ სამოილენკოც გაამწარა. აი, კუპატაძემ კი პირველივე შეხვედრაში წააგო რუმინელ მოკრივესთან და ისევ „ნამუსიანი" მსაჯების წყალობით (ახალი ამბავი!). ყოველ შემთხვევაში, საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კიკნაველიძე ასე ამბობს და მსაჯობასთან ბრძოლაში გამოსავალს ვერ პოულობს.

— წინასწარ გვითხრეს მასპინძლებმა, მეტოქე ძირს თუ არ დააგდო, კუპატაძეს მოგებას ვერ მივცემთო. ამ ტურნირს არ მივტირით, სალიცენზიოებში ოდნავ ობიექტურად რომ ემსაჯათ, ათენში 5-6 მოკრივეს წავიყვანდით. ბოლო, ბაქოს სალიცენზიო ტურნირზე აღებ-მიცემობანა და წინასწარ გათვლილი კენჭისყრები რომ დავინახეთ, გუნდი შეჯიბრებიდან მოვხსენით. ცხადია, ეს ყველაფერი საერთაშორისო ფედერაციიდან მოდის. უკრაინა, ბულგარეთი და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაც ჩვენს დღეში ჩააგდეს და აი, ახალი „მარგალიტიც". პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ციკლში ევროპელებს ზედა-ქვედა ზონებად (22-22 ქვეყანა) დაყოფენ, ოღონდ არა კლასის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის მიხედვით. მოკლედ, სუსტებთან მოგების შემდეგლა შეგვეძლება ლიცენზიებისთვის ბრძოლა.

— ათენში ზღვარგადასულ მსაჯობას ალბათ ვეღარ გარისკავენ...

— ჩვენც ამის გვეიმედება. რაც მთავარია, იზორიაც და კუპატაძეც კარგ ფორმაში არიან, მიკროტრავმებიც არ აწუხებთ და არ გამოვრიცხა[illegible] ნახევარ-ფინალს.

— მხოლოდ ნახევარფინალს?

— პოტენციურად ოქროზე ფიქრიც შეიძლება. კრივი ძალიან არაპროგნოზირებადი სახეობაა და ოლიმპიადაზეც ხშირად გვინახავს სიურპრიზები. რა გითხრათ, ფედერაციამ და განსაკუთრებით ოლიმპიურმა ფონდმა ყველაფერი გააკეთეს ბიჭებისთვის. ნიკაც და კოტეც ისეთი ჟინიანი სპორტსმენები არიან, რომ ამ დონის ფორუმს ფსიქოლოგიურად მომზადებულები შეხვდებიან. ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული კენჭისყრაზეც. აქვე მინდა გულისწყრომით ვთქვა, რომ ბიზნესმენები კრივისკენ ვერ მოვახედეთ და როდესაც აზერბაიჯანული კრივის ფინანსურ შესაძლებლობებს უყურებ, ძნელია, მაღალი შედეგები მოითხოვო. მათი 800 000 დოლარი რომ მოგვცა, ევროპას დავიპყრობდით...

**ილია ნანობაშვილი**


გურამ [illegible]ძის ფოტო

თენგიზ მესხაძე და მისი შეგირდები ნიკა იზორია და კოტე კუპატაძე კიდევ ბევრჯერ შეეჯახებიან უსამართლობას



# ათენი უმეჩეთოდ დარჩა

ATHENS 2004

**უკანასკნელი** 175 წლის განმავლობაში ათენში პირველად უნდა აშენებულიყო მეჩეთი, მაგრამ მისი დამთავრება ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ვერ ხერხდება. ამის თაობაზე იუწყება საბერძნეთის მთავრობა, რომელსაც სურდა, მეჩეთის აშენებით მთელი ისლამური სამყაროსთვის ეჩვენებინა მაჰმადიანური რელიგიისადმი პატივისცემა და შესაბამისად ოლიმპიური თამაშების სტუმარი ყველა მუსლიმანი ათლეტისადმი.

ათენში 100 ათასამდე მუსლიმანი ცხოვრობს. ესენი არიან ალბანელები, ეგვიპტელები, პაკისტანელები, მაროკოელები, სირიელები, აგრეთვე ბაგლანდეშისა და ნიგერიის წარმომადგენლები.

პარადოქსია, მაგრამ საბერძნეთი ერთადერთი ქვეყანაა მთელს ევროპულ თანამეგობრობაში, რომლის დედაქალაქსაც მეჩეთი არა აქვს.

„პროექტი უკვე მზადაა და მხოლოდ ბიუროკრატიული პროცედურები აფერხებენ მის რეალიზებას" — თქვა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა გეორგ კუმუცაკოსმა. მისი სიტყვებით ოტომანთა იმპერიისგან საბერძნეთის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შემდეგ ამ ქვეყნის დედაქალაქში პირველი მეჩეთის მშენებლობა ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან 1 თვის მერე დასრულდება.

ოლიმპიური თამაშების დღეებში მუსლიმებს, ისევე როგორც სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს, ლოცვა შეეძლებათ ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე მოწყობილ სპეციალურ კულტურულ ცენტრში.

# ოქრო-ვერცხლი აინონა

**ათენის** ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ოლიმპიური მედლების პრეზენტაცია მოაწყო. როგორც ამ მედლების შემქმნელნი ამბობენ, ჯილდოების დასამზადებლად დაიხარჯა 13 კილოგრამი ოქრო, ერთი ტონა ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო. თვითონ მედლები ათენის გარეუბან ასპროპირგოსში გამოჭედეს, ხოლო საბოლოოდ ოქროში შვეიცარიაში ამოავლებენ. დღეისთვის უკვე დამზადებულია 3 000 მედალი, მათ შორის 986 ოქროსი, ამდენივე ვერცხლისა და 1150 ბრინჯაოსი.



## დორტმუნდის სუპერტურნირი

გერმანია. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

I ტური

I ჯგუფი: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — არკადი ნაიდიჩი (გერმანია) 0,5:0,5; პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — სერგეი რუბლიევსკი (რუსეთი) 0,5:0,5

II ჯგუფი: ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — სერგეი კარიაკინი (უკრაინა) 0,5:0,5; პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა) 0,5:0,5

# პრემიერმინისტრმა კრამნიკს დაასწრო



შტაინბრიუკმა კრამნიკის მაგივრად დაიწყო

**დორტმუნდის** სუპერტურნირი მოჭადრაკეებმა ყაიმებით გახსნეს და მათგან ყველაზე აღსანიშნავი ერთ-ერთი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმერ კრამნიკისა და 14 წლის სერგეი კარიაკინის პარტია გამოდგა. ეს მატჩი, გარდა იმისა, რომ სენსაციური შედეგით დასრულდა, სხვა რამითაც იყო გამოსარჩევი. ამ პარტიით ტურნირი გაიხსნა და პირველი სვლა კრამნიკის ნაცვლად ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის, პრემიერმინისტრმა პირ შტაინბრიუკმა გააკეთა. რაც შეეხება თამაშს, იგი ოთხ საათს გაგრძელდა, მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს, თავიდან უპირატესობას რუსი დაეუფლა, თუმც ბოლომდე ვერ იყოჩაღა და 30-ე სვლაზე ყაიმს დაყაბულდა. თეთრი ალამის ასაფრიალებლად ხუთი სვლით ნაკლები დასჭირდათ პირველი ჯგუფის ბინადრებს და ახლა ორივე ჯგუფში რვავე დიდოსტატს ნახევარ-ნახევარი ქულა აქვს.

ყველაზე დიდი პარტია კი პეტერ ლეკოსა და სუპერტურნირის შარშანდელ ჩემპიონ ვიორელ ბოლოგანს გამოუვიდათ. უნგრელმა დებიუტი კლასიკური e4-ით არჩია და მეოთხე სვლაზე როქი გააკეთა. ხელმწიფის უსაფრთხოებაზე ბოლოგანმაც იზრუნა, სამიოდ სვლაში როქი თვითონაც გააკეთა და მხედარ-პაიკებით თეთრების ფლანგს მიაწვა.

შავების მოიერიშე მსუბუქ ჯარს ლეკომაც წინ მსუბუქი არმია დაახვედრა, უკან კი მძიმე ლაზიერ-ეტლები დაუსვა და დიდი შეტაკებისთვის შეემზადა. ასეთ სიმაგრეზე იერიშს ბოლოგანი ჯერჯერობით მოერიდა და მოიერიშე მსუბუქ ფიგურებს კუდში ძლიერები მიუსვა, თუმც შეტევა ველარ მოასწრო, რადგანაც 22-ე სვლაზე დარტყმა თვითონ მიიღო. დაფაზე ფიგურების გაცვლა დაიწყო. მეტოქეებმა ხოცვა-ჟლეტაში ერთმანეთს ვერ აჯობეს და 49-ე სვლაზე ყაიმი გამოაცხადეს.

**ლაშა გეგეჭკორი**




პარტიების ბოლოს ოთხივე დაფა ასე გამოიყურებოდა



# ქურციკები ხორცის ჭამას მიეჩვივნენ

24 ივლისი. კრაისტჩერჩი

**ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა**

**ახალი ზელანდია:** 15 მილს მულიაინა, 14 დაგ ჰაულეტი, 13 ტ[illegible]ანა უმაგა (კაპ), 12 დანიელ კარტერი, 11 ჯო როკოკოკო; 10 კარლოს სპენსერი, 9 ჯ[illegible]სტინ მარშალი; 8 ხავიერ რაში, 7 მარტი ჰოლა, 6 ჯერი კოლინზი, 5 საიმონ მალინგი, 4 კრის ჯეკი, 3 გრეგ სომერვილი, 2 კევინ მეალამუ, 1 ქიის მიიუსი

**სათადარიგოები:** 16 ენდრიუ ჰორი, 17 ტონი ვუდკოკი, 18 ალი უ[illegible]ლიამსი, 19 კრეიგ ნიუბი, 20 ბაირონ კელეჰერი, 21 ნიკ ევანსი, 22 სემ ტუიტიპუ

**სამხრეთ აფრიკა:** 15 პერსი მონტგომერი, 14 ბრეიტონ პოლსი, 13 მარიუს ჟუბერი, 12 დე ვეტ ბარი, 11 ჟან დე ვილერსი; 10 იაკო ფან დერ ვეს[illegible]ოიზენი, 9 ფიურ დიუპრე; 8 ჟაკ კრონხე, 7 ფიჯი ვენტერი, 6 შალკ ბურგერი, 5 ალბერტ ფან დენ ბერგი, 4 ბაკის ბოთა, 3 ედი ენდრიუსი, 2 ჯონ სმიტი (კაპ), 1 [illegible]ს დუ რანდტი

**სათადარიგოები:** 16 ბრენტ რასელი, 17 ხაფი დიუტუა, 18 ბოლა [illegible]ონრადი, 19 კვინტონ დავიდსი, 20 ჯო ფან ნიკერკი, 21 ფაან რაუტენბახი, 22 დენი კ[illegible]ტცი

**სამხრეთ ნახევარსფეროში** დღეს კიდევ ერთი დიდი სარაგბო მატჩია, თუმც რომელის არ ეთქმის დიდი მატჩი ტურნირში, სადაც ახალი ზელანდია, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა მონაწილეობენ.

დღეს ახალზელანდიელი „მაორები“ სამხრეთაფრიკელ „ქურციკებს“ გაუჩაღებენ ომს. ბოლოდროინდელი შედეგებისა და იმის გათვალისწინებით, რომ „შავები“ შინ თამაშობენ, სპეციალისტები ზელანდიელებს ასახელებენ ფავორიტად, თუმც არც ასე მარტივდაა საქმე.

აფრიკელები ნელ-ნელა კრიზისიდან გამოდიან და სულ უფრო იკრებენ ძალებს. მათ ზელანდიელთათვის ბევრი ანგარიში აქვთ გასასწორებელი, ბოლოს ხომ მთელი 4 წლის წინ შეძლეს მათი ბეჭებზე დაცემა, როცა იოჰანესბურგში 2000 წელს 46:40 მოუგეს. სტუმრად კი კიდევ უფრო დიდი ხნის წინ, 1998 წელს იმარჯვეს. მაშინ „ქურციკებმა“ ველინგტონში 13:3 სძლიეს მეტოქეს და იმ წელს სამი ერის გათამაშებაც მოიგეს. ეს იყო და ეს. მას შემდეგ აგერ, უკვე რამდენი ხანია, გულშემატკივარს მათ მიერ დამარცხებული მხრისხანე ზელანდიელები აღარ უნახავს. 2000-2003 წლებში აფრიკელები „შავებს“ სულ ცხრაჯერ შეხვდნენ და მხოლოდ ერთხელ იმარჯვეს. ამიტომ რა გასაკვირია, რომ დამშეული „ქურციკები“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუჩაღებენ მეტოქეს.

ოპტიმიზმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ ახალი მწვრთნელის ჯეიკ ვაითის ხელში აფრიკელები ნელნელა იბრუნებენ საკუთარი თავის რწმენას, ბრწყინვალედ ატარებენ ტესტ-მატჩებს და, რაც მთავარია, მათი თამაშის შემხედვარე გულშემატკივარი ყოველ მომდევნო მატჩს უფრო იმედის თვალით უყურებს, ვიდრე შიშით.

მორაგბეებიც აშკარად უკეთ გამოიყურებიან. ირლანდიასთან, უელსსა და წყნარი ოკეანის კუნძულებთან ჩატარებულ შეხვედრებში უფრო ცოცხლად და ხალისიანად იყვნენ.

გუნდს დაუბრუნდა ის, რაც ძალიან აკლდა ბოლო წლებში. მობურთავენი ერთ მუშტად არიან შეკრულნი, ერთმანეთის კომპანია მოსწონთ და გუნდის შეთამაშებაზეც ეს ფაქტორი, რაღა თქმა უნდა, დადებითად მოქმედებს.

წარსულს ჩაბარდა ურთიერთშეტაკებები, ტაქტიკის გარშემო ატეხილი აურზაური და პარანოია. რაც მთავარია, გუნდიდან წავიდნენ მობერებული მორაგბეები. იმ შემადგენლობიდან, რომელმაც 2003 წელს ზელანდიასთან მსოფლიოს თასის მეოთხედფინალი 29:9 დათმო, მხოლოდ 4 კაცია შემორჩენილი. ასე რომ, გუნდში ახალი სისხლი ჩქეფს და „წინაპართათვის“ მიყენებული შეურაცხყოფისათვის შურისძიება სწყურია.

კიდევ ერთი უსიამოვნო რამ, რაც „ქურციკებმა“ დაივიწყეს, ეს მათი ბოლოდროინდელი უაზრო ტაქტიკაა, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე [illegible]: „გაქცეი, დაეჯახე, დაარტყი“. ახალი გუნდი აშკარად უფრო სწრაფად, ლაღად და ლამაზად ბურთაობს.

თუმცა ყველაფერ ამას მეორე მხარეც აქვს. მზად არიან ეს „ახალი ბიჭები“, მრისხანე და მუდამ თვალებში ცეხცლანთებულ ზელანდიელებს დაუპირისპირდნენ?

„შავებმა“ ხომ გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები 2003 წელს ჩაგდებული მსოფლიოს ჩემპიონატის მერე. მაორებსაც ხომ ახალი და ჭკვიანი მთავარი მწვრთნელი გრეჰემ ჰენრი ჰყავთ, რომელმაც მათი სუსტი წერტილი, თავდასხმა, გუნდის ყველაზე დიდ თულფად აქცია.

მაინც ჩნდება რამდენიმე კითხვა: ნუთუ ამდენი რამაა დამოკიდებული მწვრთნელზე, ნუთუ ვაითისა და ჰენრის წინამორბედი სტრაული და მიტჩელი ასე ძლიერ ჩამორჩებოდნენ მათ განსწავლულობაში? ალბათ ვაითსაც და მის დღევანდელ მოწინაალმდეგე ჰენრისაც ჯერ კიდევ დარჩათ სამუშაო იმისათვის, რომ თავ-თავიანთ გუნდებს ძველი დიდება დაუბრუნონ.

ზელანდიელებმა წლეულს ორი პრინციპული შეხვედრა მოიგეს. ერთი მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისის ნაკრებთან, მეორე კი მარადიულ მეტოქე ავსტრალიასთან სამი ერის გათამაშებაში.

რა თქმა უნდა, ერთიცა და მეორეც დიდი და პატივსაცემი გუნდები არიან, მაგრამ ინგლისი ღრმა კრიზისშია, ავსტრალიამ კი ზელანდიურ სველ ბალახზე აშკარად ვერ ითამაშა მთელი ძალით. სპეციალისტები ამბობდნენ, ისე ჩანდა, თითქოს ავსტრალიელს ფეხის დასველება არ უნდოდათო — ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ რაგბიში ასეთი რამ არ არსებობს, მით უმეტეს, ამ დონის მეტოქეების დაპირისპირებაში. უბრალოდ, „ვოლაბებმა“ აშკარად ვერ აჩვენეს თავიანთი მაქსიმუმი.

ასეა თუ ისე, დღევანდელი მატჩი ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

**ლადო ფულუკიძე**



ახალზელანდიელებმა უკვე მოუგეს ავსტრალიას, წინ სამხრეთ აფრიკაა

# ენდიბოი ბეზრებს მოერია



**RCA CHAMPIONSHIPS**
ინდიანაპოლისი. ჰარდი
საპრიზო 600 ათასი $

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:4, 2:6, 6:4

**მესამე წრე**

**როდიკი** — რობი ჯინეპრი (15, აშშ) 7:6 (7:5), 6:4; **სებასტიან გროჟანი** (3, საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (14, ბელგია) 7:6 (7:4), 6:2; **პარადორნ შრიჩაფანი** (4, ტაილანდი) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:3, 6:0; **დომინიკ ჰრბატი** (6, სლოვაკეთი) — იოახიმ იოჰანსონი (11, შვედეთი) 7:6 (11:9), 4:6, 7:6 (7:1); **ივან ლიუბიჩიჩი** (10, ხორვატია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:3, 6:4; **ნიკოლას კიფერი** (12, გერმანია) — რიკ დე ფუსტი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 7:5

შარშანდელ ჩემპიონ ენდი როდიკს იმ დღეს მიხელ კრატოხვილთან გადმოდებული მატჩის მომთავრება და მერე თვისტომ რობი ჯინეპრისთან შებმაც მოუხდა. იმის მიუხედავად, რომ მარჯვენა ხელის საბლუჯი ფართობი სულ ჩაბებერებული ჰქონდა, ენდიბოიმ მეოთხედფინალში გასვლის ამოცანა მაინც წარმატებით გადაჭრა.

შეგახსენებთ, რომ კრატოხვილს ის 6:4, 2:5 უგებდა, როცა ინდიანაპოლისზე ბარაქიანმა წვიმამ მოასხა. მეორე დღეს შვეიცარიელმა მყისვე შეძლო სასეტო თანაფარდობის აღდგენა, მაგრამ მესამე სეტში ისევ როდიკმა გაილაღა.

ამის მერე ქალაქს წვიმის მორიგი ულუფა მიესხა და ჯინეპრისთან შეხლამდე ენდიბოიმ დასვენებაც მოასწრო. ეს მას გამოადგა კიდეც, რაკილა ჯინეპრიმ იოლად არაფერი დათმო და პირველ სეტში რომ ტაიბრეიკზე იბულრავა; როდიკს მეორე სეტშიც რამდენიმე მისი გეიმი გააგდებინა.

დანარჩენ შეხლებში კი რაიმე მოულოდნელობა არ აღინიშნულა — მეოთხედფინალებისკენ რანგით უფრო მაღლა მდგომმა მეჩოგნეებმა გაიკვლიეს.

**JP MORGAN CHASE OPEN**
კარსონი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

**მესამე წრე**

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — არანჩა პარა სანტონია (ესპანეთი) 6:0, 6:3; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:1, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — ემი ფრეზერი (15, აშშ) 6:2, 6:4; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ჩანდა რუბინი (14, აშშ) 7:5, 7:6 (10:8); **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (10, ისრაელი) 6:3, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (11, იტალია) — აი სუგიამა (6, იაპონია) 6:3, 0:6, 7:6 (7:3); **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:3, 6:2; **ვერა ზვონარიოვა** (8, რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:2, 6:3

კარსონობის მეოთხედფინალში — აგერ, თქვენც გადაითვლით და — სამი ამერიკელი, ოთხი რუსი და ერთიც იტალიელი გავიდა. აქედან სამსექციანი შეხლის გადატანა სწორედ იტალიელს მოუხდა და ეს გასაკვირი არცაა, მას მეექვსე ნომრად განთესილი აი სუგიამა უნდა გაეშოლტა. ამერიკელებმა და რუსებმა კი — ჩანდა რუბინთან კარქა გვარიანად ნაპაექრებ ელენა დემენტიევასაც თუ გამოვაკლებთ — ჭეშმარიტად იბაირამეს.

უილიამსდებმა თავიანთ წილ დაბრკოლებებს ადვილად გადაევნენ — წინა წრეში ელენი დანილიდუსთან განაჭირვებმა სერენამ თავს შემოუძახა და ისე კუშტად იჩოგნავა, უსახელო პარა სანტონიას ბდღვირი ადინა. დღეს ეშხში შევედი და ამიტომაც ყველაფერი მეიოლაო.

მისმა უფროსმა დაიკო ვინუსმა კი რუს ლიხოვცევას სულაც ერთი გეიმით ნაკლები დაუთმო, თუმცა საკუთარი თავისთვის დასამტკიცებელი საამმომენტოდ დაზე ცოტა აქვს.

ისევ რიგიანად გაირჯა თავის ბოლო სეზონში მოჩოგნავე ლინდსი დევენპორტი — მან თავისდარად ვეტერან ამერიკელ ემი ფრეზერს აჯობა.

ჩანდა რუბინთან გადატანილი ხოშიანი ჭახა-ჭუხის გამო კი როლანგაროსობის ფინალისტი ელენა დემენტიევა კმაყოფილებას შალითაშიც ვერ მალავდა — დღეს განსაკუთრებული გახელებით მეთამაშებოდა, რადგანაც შარშან რამდენჯერაც არ შევხვდი, იმდენჯერ მივაიმასვქენიო.

**GENERALI OPEN KITZBUHEL**
კიცბიუელი. თიხნარი
საპრიზო 800 ათასი €

**მესამე წრე**

**რაინერ შუტლერი** (1, გერმანია) — დავიდ სანჩესი (13, ესპანეთი) 6:0 სანჩესმა შეწყვიტა; **გასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (14, რუსეთი) 6:3, 6:3; **ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) — ტომას ბერდიხი (15, ჩეხეთი) 7:6 (7:3), 3:6, 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (4, ესპანეთი) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 6:3, 6:0; **მარიანო საბალეტა** (5, არგენტინა) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 7:5; **ფლორიან მაიერი** (6, გერმანია) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:4, 6:4; **ლუის ორნა** (7, პერუ) — ალბერტ კოსტა (11, ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:4), 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (8, ესპანეთი) — მარტინ ვასალო არგელო (იტალია) 7:6 (9:7), 6:3

1991 წლის ტოკიობის შემდეგ ეს პირველად მოხდა, რომ რვა მთავარგანთესილმა მეჩოგნემ რაგინდარა საეიტიპიო ტურნირის მეოთხედფინალამდე მიატანა.

**ლევან ბელაურაძე**

**ხორვატიის ღია პირველობა**
უმაგი. თიხნარი
საპრიზო 395 ათასი €

**მეორე წრე**

**კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 3:3 კრაიანმა შეწყვიტა; **ალბერტო მარტინი** (5, ესპანეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:3, 6:1; **გილერმო კანიასი** (6, არგენტინა) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 6:3

# სპიდო და ლოტო შეიბნენ, ანამ ჩაიცვას ჩვენიო



**ტანსაცმლის** ორი დიდბობოლა ფირმის, „სპიდოსა“ და „ლოტოს“ პრინციპულობას შესაძლოა ებრაელთა მთავარქალმეჩოგნის ანა სმაშნოვა-პისტოლეზის ოლიმპიური ამბიციები ემსხვერპლოს.

საქმე ისაა, რო მ ისრაელის ოლიმპიურ კომიტეტს შეთანხმება ჰქონია „სპიდოსთან“ და ათენში ჩასული ყველა ებრაელი ათლეტი სწორედ ამ ფირმის ნაწარმით უნდა „გაიზმანოს“.

ამავდროულად, სმაშნოვა-პისტოლეზის ინდივიდუალური კონტრაქტი აკავშირებს „ლოტოსთან“ და ამ კონტრაქტის თანახმად ყველგან და ყოველთვის სწორედ „ლოტოს“ ტანსაცმელი უნდა ეცვას.

რაკილა სიტუაცია ერთობ საჩოთიროა, „ლოტო“ თურმე ყაბულდება იმას, რომ ოლიმპიადაზე ჩასულმა მეჩოგნემ ძირითადად „სპიდოს“ სამოსით იაროს. ოღონდ ამ დათმობის საფასურად ფირმა მოითხოვს, რომ საკუთრივ თავის მატჩებზე სმაშნოვა-პისტოლეზი ისევ მხოლოდ „ლოტოს“ ტანსაცმლით უნდა გავიდეს.

„სპიდო“ კი ასეთ „შერეულ ვარიანტს“ არ თანხმდება და, როგორც ისრაელის ოლიმპიურ კომიტეტში ამბობენ, მათმა უპირველესმა მეჩოგნემ ამის გამო ათენში ჩასვლა შეიძლება საერთოდაც ვერ მოახერხოს.



# F1

**XII ეტაპი. გერმანიის დიდი პრიზი**

**ჰოკენჰაიმრინგი**

*ჰოკენჰაიმი, 25 ივლისი*

**ტრასის სიგრძე** ---------- 4.574 კმ
**რბოლის დისტანცია** ---------- 67 წრე — 306.458 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** 1 მონტოია (უილიამსი); 2 კულჰარდი (მაკლარენი); 3 ტრული (რენო); 4 ალონსო (რენო); 5 პანი (ტოიოტა); 6 და მატა (ტოიოტა); 7 მ.შუმახერი (ფერარი); 8 ბატონი (B.A.R.)

**წრის რეკორდი:** 2003 — მონტოია (უილიამსი) 1.14,917 (219,8კმ/სთ)




კიმი რაიკონენი ბოლო დროს რბოლის იმტაზე მოვიდა

**მთავარი** სახვალიო ამბავი: დიდი შანსია, „ფერარიმ“ საყოველთაო-სავალდებულო შვებულების წინ სარეკორდოდ ადრე გაინაღდოს გუნდური ჩემპიონობა, ანუ კონსტრუქტორთა თასი.

საამისოდ, ანუ სარეკორდო მე-14 ტიტულამდე სკუდერიელებს ბევრიც არაფერი აკლიათ და იქნება, სულ რაღაც 13 ქულაც ეყოთ მიხაელ შუმახერს და რუბენს ბარიკელოს, თუ მათი მდევარი რენოელები ნულზე დარჩებიან.

რაც შეეხება რეკორდს, გუნდური პირველობა ჩემპიონატის ფინიშამდე ექვსი ეტაპით ადრე არც ერთ საჯინიბოს არ გაუნაღდია, ხოლო რაც შეეხება შვებულებას, უნდათ თუ არა, ათივე საჯინიბო თავის სრული კონტინგენტით ვალდებულია ოციოდე დღით ცოლ-შვილთან ინებივროს (ვისაც ჰყავს) და ამ ხანში ნებისმიერი გავარჯიშება (ცხადია, გუნდური) ეკრძალებათ.

ერთი თვის წინ ინდიანაპოლისის „მოტორ სპიდვეიზე“ აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებისას უმძიმესად ნაავარიები რალფ შუმახერი მკურნალობას აგრძელებს. თავად შუმი დიდ გულზე კია, კარგად ვარ და 15 აგვისტოს უნგრეთში გაჯირითებაც მინდაო, მაგრამ მკურნალებს მისი ამჩატება მხოლოდ აღიზიანებთ, ბუდაპეშტში თუ გაიჯირითებს, თავხერხემლის ტრავმა შესაძლოა ისე გაუმიზეზდეს, რომ მოკვდესო.

წინა ორ რბოლაში რალფი „უილიამსის“ სათადარიგო მძღოლმა მარკ ჟენემ შეცვალა, მაგრამ რაკი ორივეჯერ თუნდაც ქულის მოპოვება ვერ მოახერხა, სერ ფრენკ უილიამსმა ესპანელის ნაცვლად საგერმანიო უიქენდზე მეორე ტესტ-მძღოლ ანტონიო პიცონას გამოცდა გადაწყვიტა.

მშობლიურ ეტაპზე ვერ ყოჩაღობს მიხაელ შუმახერი — თერთმეტ გაჯირითებიდან მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა და ბუნებრივია, ხვალ თავისიანების თვალწინ მხოლოდ მოგებისთვის იბრძოლებს. საამისო ნაბიჯი მან გუშინ უკვე გადადგა — თავისუფალი ვარჯიში მოიგო ლამის ტრეკის რეკორდით. მეორე შედეგი ჰქონდა ბოლო დროს მოფერიანებულ მაკლარენელ კიმი რაიკონენს, შემდეგ იყვნენ ხუან-პაბლო მონტოია (უილიამსი) ჯენსონ ბატონი (BAR), ანტონიო პიცონია (უილიამსი)...



# ტურ დე ფრანსი

**XVIII ეტაპი. 23 ივლისი. ანემასი — ლონს ლე სონიე. 166,5 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ქუიქ სტეპი) | 4სთ 46წთ 35წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | 78სთ 20წთ 28წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, CSC) | +4წთ 9წმ |
| 3 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი) | +5წთ 11წმ |
| 4 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი) | +8წთ 8წმ |



ეროვნული ბიბლიოთეკა



# თუ გვინდა ვიყოთ ნაკრები, მე-ზე ვიფიქროთ ნაკლები

**იტალია 100:76 საქართველო**

26:11 25:22 25:20 24:18

**იტალია:** ბაზილი (6), გალანდა (8), რადულოვიჩი (15), დეპოლი (1), მარკონატო (6), სორანა (3), რიგეტი, პოცეკო (4), ბულერი (10), აბიო (12), კიაჩიგი (25), რომბალდონი (10)

**საქართველო:** უილიამსი (17), ცინცაძე (8), სანიკიძე (10), ვ. ბოისა (17), ფაჩულია (21); კილაძე (3), ა. ბოისა, ტულუში




რობერტო კიაჩიგმა დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდს 25 ქულა ჩაუგდო

რა გინდა, რომ თქვა ქართველების წუხანდელ მარცხზე? ჯერ ერთი, ამხანაგური, ესე იგი, ჭკუის სასწავლებელი მატჩი იყო და წაგებაც ცხადია, ტრაგედიად არ აღიქმება. ის კი არა, იმდენი მიზეზი იყო იტალიელების სასარგებლოდ, რომ ეს 24-ქულიანი მარცხი ბევრმა ეგებ წარმატებადაც კი აღიქვას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იტალია იტალიაა, თან უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე. „სკუადრა აძურა“ სამ კვირაში ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირში ჩაებმება, სადაც ბევრი კონტინენტიდან მხოლოდ რჩეული გუნდები თამაშობენ. იტალია მასპინძელი იყო და ეთამაშებოდა გუნდს, რომელიც წამყვანი კალათბურთელის გარეშე თამაშობდა და რომელსაც ბოლო მატჩი 2001 წლის სექტემბერში ჩაეტარებინა აზერბაიჯანთან.

ქართველებს გამარჯვებას არავინ სთხოვდა — ბრაიკოვიჩის გუნდმა ჯერ კომბინაციური თამაში უნდა ისწავლოს, შეერთდეს, გამთლიანდეს, ერთ ოჯახს დაემსგავსოს და მოგებასაც მერე თუ მოსთხოვ. მანამდე კი შორია და ქართველები ჯერაც ისევე აბურდულად თამაშობენ, რის გამოც თავის დროზე ევროპის უსუსტეს ნაკრებებთან დაიდეს ბინა.

იტალიასთან ისეთი წაგება ჩაითვლებოდა წარმატებად, რომელშიც დავინახავდით, რომ შემონდ უილიამსი ნაღდად ბურთის გასათამაშებლად შეუერთდა საქართველოს ნაკრებს... რომ მოედანზე მყოფნი რამე გააზრებულს, ვარჯიშებზე დამუშავებულ კომბინაციას გაათამაშებდნენ... რომ კალათბურთი პირველ რიგში მოძრაობაა და მერე, პასი, სროლა და ასე შემდეგ... მაგრამ ამის ნაცვლად ვხედავდით, თუ როგორ ხშირად ამოდიოდნენ პერიმეტრზე ფაჩულია, ბოისა, სანიკიძე, ხოლო ის ვისაც ბურთით უნდა ერბინა, გაეხედა, გამოეხედა, ნემსის ყუნწში გამძვრალიყო და ეს ხალხი პასებით მოემარაგებინა, დიდი მონდომებით კი ირჯებოდა, ოღონდ მის მოქმედებას მარილი აკლდა. შემონდ უილიამსმა ევროპის ზოგიერთი წამყვანი ნაკრების გამთამაშებელს ეგებ კუდით ქვა ასროლინოს, მაგრამ გუშინ ის იქით დაიჩაგრა ჯერ იტალიელი ჯანლუკა ბაზილესგან, მერე კი ვერცხლისწყალივით მკვირცხლი და მოუსვენარი ჯანმარკო პოცეკოსგან.

საქართველოს ნაკრების სათამაშო მანერა ისევ იმ ყბადაღებულ ინდივიდუალიზმზე იყო დაფუძნებული, რასაც ჯერაც ამაოდ ებრძვის დრაჟენ ბრაიკოვიჩი. იტალიელები კი პირიქით, ბურთს ხელში არ იჩერებდნენ და 5-6 სწრაფი გადაცემის შემდეგ უმეტეს წილად ზუსტი სროლით აგვირგვინებდნენ შეტევას.

ბრაიკოვიჩის გუნდმა იტალიელებს წინააღმდეგობა მხოლოდ საწყის ხუთწუთეულში გაუწია. ზაზა ფაჩულიას შედეგიან გარღვევებს ვლადიმერ ბოისამ ზუსტი სამქულიანიც მიაყოლა და მე-5 წუთისთვის ანგარიში 8:8 იყო. მაგრამ, ეს იყო და ეს. ჯანლუკა ბაზილემ მიჯრით 6 ქულა ჩააგდო და იტალიელთა განავარდებას დაუდო სათავე.

მასპინძლებმა შორიდანაც ამოავსეს ქართველთა კალათი და სამწამიანიდანაც. ქართველთა არც ზონური და არც „კაცი-კაცზე“ დაცვა გამოდგა ეფექტური.

ერთიც სათქმელია: მესამე მეოთხედის შუამდე ბრაიკოვიჩმა სასტარტო ხუთეული ათამაშა, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, სათადარიგოებში მთლიანად საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ხალხი იჯდა, თან ფაჩულიას, ბოისას, უილიამსს, ანუ მათ, ვის მხრებზეც უნდა გადაიაროს მომავალმა ბრძოლებმა, შეთამაშება სჭირდებათ და ბრაიკოვიჩსაც საამისოდ ძალიან ცოტა დრო დარჩა.

ბრაიკოვიჩმა მას შემდეგ დაიწყო ხალხის შეცვლა, რაც დარწმუნდა რომ იტალიას ვერ დაამარცხებდა. მესამე მეოთხედში სხვაობამ 20 ქულას გადააჭარბა და ქართველთა ნაკრების არაერთმა სათადარიგომ ოცნებაც აიხდინა — აბიოს, ბაზილეს, პოცეკოს, კიაჩიგის, მარკონატოს, გალანდას, რადულოვიჩის გვერდით ითამაშა.

ყველაფრის მიუხედავად, ქართველთა თამაშში მაინც სჭვიოდა კეთილი მომავლის იმედი, რომელიც ალბათ მაშინ შეისხამს ხორცს, როცა ნაკრებს სტეფანია, ნაცვლიშვილი და ცქიტიშვილი დაუბრუნდებიან.

**ირაკლი პერტაია**

# რას მიპირებთ?

## ცქიტიშვილს დენვერთან სალაპარაკო აქვს

**კენიონ მარტინის** „დენვერში“ მისვლის შემდეგ, ისედაც სათადარიგოთა სკამს მიჯაჭვული ნიკა ცქიტიშვილი მთლად უიმედო სიტუაციაში აღმოჩნდა. ამას ხედავს ხალხი, მით უფრო პრესა და ქართველი ფორვარდის გუნდიდან წასვლასთან დაკავშირებით გაზეთებში ცხვება და ცხვება სტატიები.

ჯერ კონკრეტული გუნდი არ სახელდება, გაკვრით ითქვა „მინესოტაზე“, გუშინწინ კი სულაც ცქიტიშვილის საფრანგეთში გაშვებაზე ალაპარაკდა დენვერის გაზეთი „როკი მაუნთინი“, თუმც არ დაუკონკრეტებია, რა როგორ და როდის მოხდება.

ვერც დააკონკრეტებდა, რაკი თავად „დენვერში“ არ გადაუწყვეტიათ ჯერ ცქიტიშვილის ბედი. ქართველი ფორვარდი ახლა საზაფხულო ლიგებში დაფრინავს და კლუბის ხელმძღვანელობაც არ ჩქარობს, ემანდ მცდარი გადაწყვეტილება არ მივიღოთ, „სკიტას“ ცოტაც დავაცადოთო.

„ჩვენ არაფერი გვითქვამს არც ცქიტიშვილისთვის და არც მისი აგენტისთვის, რაკი მისი გუნდიდან წასვლა ჯერ არაა გადაწყვეტილი“ — ამბობს „დენვერის“ გენერალური მენეჯერის თანაშემწე ჯეფ ველტმანი.

დენვერული ჟურნალისტები მაინც კრიტიკული თვალით უყურებენ „ცქიტიშვილის საქმეს“ და იმ ფულს ითვლიან, რაც მისი გუნდიდან წასვლის შემთხვევაში გამოუთავისუფლდება „დენვერს“. ცქიტიშვილი თუ წავა — ვარაუდობენ ამირიკელი ჟურნალისტები — „დენვერს“ ზედმეტი 2,9 მილიონი დარჩება და ან ტრენტონ ჰასელს შეიძენს ან დარიუს მაილზსო. „ნაგეტსს“ ძალიან სურს ამათგან ერთ-ერთის გადაყვანა, მაგრამ რაც კენიონ მარტინი შეიმატა და მარკუს კემბის კონტრაქტი გაუხანგრძლივა, სახელფასო ფონდი დაუცარიელდა.

„ცქიტიშვილის დრაფტზე არჩევის დღიდან „დენვერს“ პრეზიდენტი კიკი ვანდევეი გუნდის ფანებს ეუბნება, რომ იყვნენ მომთმენნი ქართველის მიმართ. თუ „სკიტა“ ამ სეზონსაც „დენვერში“ დაიწყებს, კიკი იგივეს სთხოვს გულშემატკივრებს“ — წერს „როკი მაუნთინი“.

ვანდევეი კი ამ დროს ამბობს: „ცქიტიშვილს შესანიშნავი ზაფხული უდგას. ვფიქრობ, მას მეტი სათამაშო დრო სჭირდება და ყველაფერი კარგად იქნება. ის ბურთს გაცილებით უკეთ ატარებს, თითქმის ყველაფერში მოუმატა. მას ყველაფერი აქვს — ცქიტიშვილი ნაღდი ტალანტია. საბედნიეროდ, ჩვენ შეგვიძლია, მისი პოტენციალი გამოვიყენოთ.“

მესამე წელია, ვანდევეი ამას ამბობს, მაგრამ ცქიტიშვილს ამით არაფერი შემატებია. „მე ჯერ არ ვიცი, სად ვითამაშებ. ოღონდ ვითამაშო და არა აქვს მნიშვნელობა, რომელ გუნდში ვიქნები“ — თქვა ჯდომით დაღლილმა და ახლა საზაფხულო ლიგებში განავარდებულმა ცქიტიშვილმა.



საზაფხულო ლიგაში თავის გამოჩენა ნიკა ცქიტიშვილის მისხალი შანსია

ნიკა ლას ვეგასის კემპის ბომბარდირი გახდა წინა კვირაში და ახლა სოლტ ლეიკ სიტის კემპზე ყოჩაღობს, სადაც მისი „დენვერი“ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია 11 მონაწილეს შორის. „ნაგიტსმა“ ბოლო ორ მატჩში ჯერ „პორტლენდი“ დაამარცხა 78:76, გუშინწინ კი „ინდიანა“ გაანადგურა 63:47. ცქიტიშვილი „პორტლენდთან“ მატჩის ბომბარდირი გახდა 19 ქულით, „ინდიანასთან“ კი 22 წუთი ათამაშეს და 10 ქულას დასჯერდა.

„როცა ვთამაშობ, ყველაფერი კარგად გამომდის. აბა, თუ არ მათამაშებენ, რა შედეგი მექნება“ — ამბობს თამაშს დანატრებული ცქიტიშვილი — კლუბის ხელმძღვანელობასთან ვაპირებ დალაპარაკებას, რას მიპირებენ და რას უნდა ველოდო.“

**ირაკლი პერტაია**

## ფეხბურთი

### ავსტრია

I დივიზიონი. I ტური

ალტახი 2:1 ლინცერი
გლატკორნი 0:0 კაპფენბერგი
ლეობენი 2:0 კერნტენი
რიდი 1:4 აუსტრია (ლ)
უნტერზიბენბრიუნი 0:2 ვიორგლი

### ხორვატია

ნაციონალლიგა. I ტური

ჰაიდუკი 1:1 პულა

### შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

სერვეტი 2:2 გრასჰოპერი
ბაზელი 1:1 ძსამაძსი
იანგ ბოისი 6:1 შაფჰაუზენი

### რუსეთი

პრემიერლიგა. XVII ტური

ცსკა 1:0 რუბინი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფელიც აშენებულია

ბიცოლა ანგელოპულოსს, ვინაც, მოგეხსენებათ, ათენის ოლიმპიადის შეფორგანიზატორი გახლავთ, შეუდარებელი, საქმიანი ღიმილის გამოფენის კარგი მიზეზი აქვს. ოლიმპიურ დედაქალაქში ოლიმპიური სოფლის მშენებლობა დასრულდა და ამ მუშამ ბოლო ფუჯი საღებავი წაუსვა მსოფლიო სპორტის კარმიდამოს. პოლიციაც იქვეა, რა იცი, რა ხდება...

REUTERS ათენიდან






# ბრაზილიამ იფრინა

სეულიდან 500-იოდ კილომეტრში, ქალაქ ჩეჟუში ხტუნია ფრენბურთელი გოგონები მსოფლიოს თასს აჯურებენ და არის ერთი ჟრიამული. ამ იაპონელმა გოგონამ ბრაზილიელებს ეს ბურთი კი ჩაუგდო, მაგრამ მოედნიდან მოგებული ბრაზილია გამოვიდა.




REUTERS ჩეჟუდან

# მიშამ მკლავი დაიმშვენა

ეს მტკიცე ხელი მსოფლიოში ყველაზე მტკიცენერვებიანი მძღოლის მიშა შუმახერისაა. ფოტოთი ვგებულობთ, რომ მიშას ტატუ გაუკეთებია, ხოლო ფოტოს წარწერა გვამცნობს, ხვალ ჰოკენჰაიმში გერმანიის დიდი პრიზი გათამაშდებაო.



REUTERS ჰოკენჰაიმიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge